# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 2 მაისი, 2013 წელი.

№82 (7209)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეური სიფცვაა, ფცუილებით და ჯოჯებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისაგან

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ თავისი წესდების შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 მაისს საერთო კრებაზე აირჩია საპატიო აკადემიკოსები და აკადემიის ნამდვილი წევრები**

იხ. 2 გვ.

## ვულოცავთ ღირსეულთ!

გუშინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ თავის საერთო კრებაზე საპატიო აკადემიკოსებად აირჩია გამოჩენილი მწერალი **ჟაბუა ამირეჯიბი** (ბერი დავითი) და მსოფლიოში ცნობილი მოქანდაკე **მერაბ ბერძენიშვილი**.

ქართული საზოგადოებრივი აზრი კვლავ თავის მიუკერძოებელ სიმაღლეზე აღმოჩნდა!

## მაგთიკომმა სახელმწიფო გაერთიანებული ტენდერი ხელმეორედ მოიგო

7


MAGTI

...კავშირი თქვენს სამყაროსთან


**საქმეში ხარ?!**

## ჭირი თავს არ მალავს, მაგრამ უცხოდ გაუტიფრებული გიორგი ბარამიძე და სერგი კაპანაძე რატომ ცდილობენ ამ ჭირის მიჩქმალვას?

**ეი ასეთი კითხვა გამიჩინა 30 აპრილის შუბლაძისეული „პოზიციის“ ყურებამ. მართალი გითხრათ, კინალამ ტელევიზორი შემომემსხვრა. სულ ცოტა ხნის წინათ, ამ ჩვენს ნავიცეპრემიერალ ბარამიძეს არც ფერი უვარგოდა (თითქოს ცოცხის ფერი ედო!) და ვერც მაინცდამაინც ლოგიკურად მეტყველებდა. რაღაც შიშის შავი შარავანდედი ედგა და შეტევას აშკარად ვერ ბედავდა. დაახლოებით ამავე დღეში იყო წინა ხელისუფლების მიერ ახლა უკვე გაექსპერტებული დიპლომატი (ჩანს, როგორც ექსპერტი, ბევრად მეტ გასამრჯელოს იღებს, ვიდრე მინისტრის მოადგილეობისას იღებდა. აბა, ისე, მუქთად, ნათქვამია, კატებიც არ ეკატაღუებიან ერთმანეთს!).**

შუბლაძის მიერ „რუსთავი-2“-ის ყაიდაზე შემართული „პოზიციის“ „გლადიატორები“ ორ საკითხზე მსჯელობდნენ... როგორც ჩანს, ლაფანყურში დახოცილი ბიჭების პოლიტიკური ხრწნის სუნი კიდევ კარგა ხანს იტრიალებს, უფრო სწორად, მანამ, სანამ ბოლომდე არ გაირკვევა ის სიმართლე, სახალხო დამცველმა საქვეყნოდ რომ განაცხადა!.. ასევე გარკვევას ითხოვს 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელმაც სრულიად უაზროდ, უფრო ზუსტად კი, ომობანას მოყვარული ერთი ვითომ მხედართმთავრის ახირებამ თუ უფრო უტვინობამ ასობით ჯიშიანი ახალგაზრდა, ასევე მრავალი მშვიდობიანი მოსახლე ჩააწვინა მიწაში.

მაგრამ რა! ბარამიძისა და კაპანაძის აზრით (SIC!), იმის თქმა, რომ ომი სააკაშვილმა დაიწყო, იმავეს ნიშნავს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, რადგან ამ ორი თავგადაკლული ნაციონალის ვაიმტკიცებით საქართველო და სააკაშვილი ერთი და იგივეა! ხოლო ლაფანყურში ჩახოცილ ჩეჩნებს თავის დროზე თუ საქართველო ამზადებდა როგორც ტერორისტებს, ეს მუხანათობა და ჩვენი საყვარელი საქართველოს ღალატია!

ერთი სიტყვით, სიმართლის გარკვევა და დადგენა ბარამიძე-კაპანაძის და, საერთოდ, ახლა უკვე გაეროვნულმოძრაობული ნაციონალების აზრით, რაც 19 აპრილისგან გაბრუებულ-გაბლუებული გენერალური მდივნისგან მიმდინარეობს, ანტიქართული, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული, ანტიკავკასიური, კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი საქციელი ყოფილა!

გაიგეთ, ხალხო? მიხვდით? თუ არ გინდათ, რომ ჩვენი საყვარელი საქართველოს — ბევრისთვის კარგა გვარიანად მეწველი ძროხის, კიდევ უფრო უმეტესად ბევრისთვის კი გაბერწებული და ძუძუგამშრალი ფურის, — უსაფრთხოება ეჭვის ქვეშ დააყენოთ, პირზე კლიტე დაიდეთ, გაკრინტდით, არავითარი სიმართლის გამოძიება არ მოითხოვოთ, თორემ ომი სააკაშვილის, ანუ საქართველოს დაწყებული გამოვა (რაც ჰიტლერისა და გერმანელი ხალხის ანალოგიას იწვევს!), ხოლო ლაფანყური საქართველოსთვის იგივე იქნება, რაც სტალინგრადი გერმანელებისთვის იყო.

თან უნდა გენახათ და მოგესმინათ, რა რიხით, რა ომახით, რა დამუქრებით, რა წინასწარმეტყველური ჟინით „ანგრევდნენ“ შუბლაძის ნალოლიავებ პოზიციას ბარამიძეც და კაპანაძეც. შუბლაძე კი, რუსთავორულად საკაშვილის შუბლზე ცივხელმიდებული, გიორგი გაბუნიასთან ერთად, ნემსის ყუნწში ძვრებოდა (მოხერხება არ გინდა!), რომ სიმართლე, უტყუარი სიმართლე რაც შეიძლება მეტად და მეტად განიორწყლებულიყო.

კიდევ კარგი ეს პარასკევი წითელი პარასკევია და შუბლაძე-გაბუნიას ფრიად საეჭვოდ სუბიექტურმა პოზიციამ ერთი კვირით გადაიწია.

თუმცა, მაინცდამაინც დიდი იმედი არა მაქვს, რომ ერთ არამშვენიერ სამშაბათს ან პარასკევს ჩემი საცოდავი ტელევიზორი შუბლაძისგან შუბლძარღვგაწყვეტილს არ შემომემსხვრევა.

**გურამ წიკლაური**

## ახალაიამ იარაღი ჩამარტყა, კალანდაძე 20 წუთის განმავლობაში მცემდა

6

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ საპატიო აკადემიკოსები

# საქართველოს პატრიარქი მეცნიერებათა აკადემიას ესტუმრა



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში საპატიო აკადემიკოსებად მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი (ბერი დავითი), მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიკოსი სერგეი მირონოვი აირჩიეს.**

აკადემიის საერთო კრებას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ესწრებოდა.

უწმინდესი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსია. პატრიარქმა აკადემიკოსებს მიმართა და დასახელებული კანდიდატების მიმართ საკუთარი მხარდაჭერა გამოხატა.

პატრიარქმა აღნიშნა, რომ ჭაბუა ამირეჯიბი არის ეტალონი სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის, მან ბევრი რამ გააკეთა კეთილი და დღესაც აკეთებს. უწმინდესმა აღნიშნა, რომ ჭაბუა ამირეჯიბის, იგივე ბერი დავითის სულიერი ინტელექტი იმდენად მაღალია, რომ ახლახან იგი ბერად აღიკვეცა და ეწოდა ბერი დავითი.

უწმინდესმა ისაუბრა, ასევე, მერაბ ბერძენიშვილის შესახებაც და აღნიშნა, რომ მსოფლიოში ცნობილი მოქანდაკეა და ღირსია ამ წოდების.

სერგეი მირონოვთან დაკავშირებით პატრიარქმა განაცხადა, რომ მას ჰყავს ქართველი მეუღლე, რძალი და ძალიან უყვარს საქართველო.

სხდომაზე ბერი დავითი იგივე ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი და სერგეი მირონოვი ერთხმად აირჩიეს საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსებად.

◎ როგორ მოვიზიდოთ ინვესტორები

# პრემიერ-მინისტრი კომპანია STANDARD & POORS-ის მისიის წევრებს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი სარეიტინგო კომპანია Standard & Poors-ის მისიის წევრებს ანა ელენკოვიჩს და ტრევორ კულინანს შეხვდა.** მხარეებმა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები განიხილეს. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაწყვეტა მთლიანად ეკონომიკურ აღმავლობაზეა დამოკიდებული და ამდენად, ახალი ხელისუფლების ძალისხმევა თავისუფალი ბიზნესგარემოს შექმნისკენ არის მიმართული. როგორც შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რეიტინგებს დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტორების მოზიდვის კუთხით და ისურვა, რომ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება სამომავლოდ რეიტინგებშიც აისახოს.

# საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისაგან

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ თავისი წესდების შესაბამისად, მიმდინარე წლის 1 მაისს საერთო კრებაზე აირჩია:

აკადემიის საპატიო აკადემიკოსებად:

| | |
|---|---|
| ჭაბუა ამირეჯიბი (ბერი დავითი) | ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე |
| მერაბ ბერძენიშვილი | ქართველი მოქანდაკე და საზოგადო მოღვაწე |

აკადემიის უცხოელ წევრად:

| | |
|---|---|
| სერგეი პავლეს ძე მირონოვი | რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნ.პრირიროვის სახ. ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი (ქ.მოსკოვი). |

აკადემიის ნამდვილ წევრებად (აკადემიკოსებად) შემდეგ სპეციალობებში:

მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება

| | |
|---|---|
| კოკილაშვილი ვახტანგ | მათემატიკა |
| ჯანელიძე გიორგი | მათემატიკა |
| ჩაგელიშვილი გიორგი | ფიზიკა |
| ჯაფარიძე გიორგი | ფიზიკა |

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება

| | |
|---|---|
| შენგელია დავით | გეოლოგია |
| ბელიძე თამაზ | გეოფიზიკა |

გაანგარიშებითი მექანიკის, განძანათვლებლობისა და პროცესების განყოფილება — მართვის

| | |
|---|---|
| ფრანგიშვილი არჩილ | ინფორმაციული ტექნოლოგიები და კომპიუტერული ინჟინერია |
| მახვილაძე ლევან | საამშენებლო ინჟინერია, მშენებლობის წარმოების ტექნოლოგიები |
| მიქმარიაშვილი ელგუჯა | საამშენებლო ინჟინერია, მშენებლობის წარმოების ტექნოლოგიები |

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

| | |
|---|---|
| სამსონია შოთა | ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები |
| ბანძვეტაძე ბექან | ქიმია და ქიმიური ტექნოლოგიები |

ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება

| | |
|---|---|
| მიქუა აბესალომ | პალეობიოლოგია |

მედიცინის განყოფილება

| | |
|---|---|
| მანაბაძე ლავრენტი | უროლოგია |
| შაქარიშვილი რომან | ნეიროლოგია |
| ჯაფარიძე შოთა | ოტორინოლარინგოლოგია |

ფიზიოლოგიის განყოფილება

| | |
|---|---|
| ნანეიშვილი თემურ | ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგია |
| მეთაგვარია ნოდარ | ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია |
| მიქელაძე დავით | ნეიროფიზიოლოგია |

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება

| | |
|---|---|
| ნასყიდაშვილი პეტრე | სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექცია, გენეტიკა და მეთესლეობა |
| ურუშაძე თენგიზ | ნაადგილცოდნეობა, მეტყევეობა |
| კორახაშვილი ავთანდილ | აგროტექნოლოგია |

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

| | |
|---|---|
| ხაზარაძე ნანა | ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია |
| პაპავა ფლადიმერ | გამოყენებითი ეკონომიკა |
| სილაგაძე ავთანდილ | ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია |
| ხეთერიანი ჯონი | სამართალმცოდნეობა |
| ალექსიძე ზაზა | ქართულ-სომხურ-ალბანური ისტორია და ფილოლოგია |
| ბრეგვაძე ბაჩანა | ფილოსოფიის ისტორია |

ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება

| | |
|---|---|
| შანიძე მზექალა | ქართული ენა |
| კვარაცხელია ბუბა | ენათმეცნიერება |
| ჯაფარიძე ფლიზბარ | აღმოსავლეთმცოდნეობა |
| ხინთიბიძე ელგუჯა | ქართული ლიტერატურის ისტორია |
| გორდეზიანი რისდან | კლასიკური ფილოლოგია |

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი**

**თამაზ გამყრელიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# როცა ბიზნესს არ ეშინია!..

## „ერთი-ორი მინისტრი ფარულად იმპორტიორების ხელშემწყობია“...

**ბიზნესმენებთან შეხვედრისას პრემიერ-მინისტრმა რამდენიმე საინტერესო მესიჯი შემოგვთავაზა, რომელიც ინვესტორებისთვისაც, ქართველი ბიზნესმენებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც საყურადღებოა.**

პრემიერი აცხადებს, რომ საქართველოში ბიზნესის წარმოება აუცილებლად გაიოლდება.

**„ევროპის განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოს ბაზარი არის ცარიელი და შესავსები. ბიზნესის წარმოება იქნება გაცილებით იოლი, ვიდრე არის ევროპასა და ამერიკაში“,** – აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

პრემიერი განმარტავს, რომ საქართველო ერთ-ერთი საინტერესო ქვეყანა იქნება ბიზნესის კეთების კუთხით, იქნება აუცილებლად სუფთა და კონკურენტუნარიანი ბიზნესგარემო, ისეთივე თავისუფალი, როგორიც არის ყველა განვითარებულ ქვეყანაში.

**„ჩემი ინიციატივით იქმნება სამი ფონდი, რომელიც ჩადგება ბიზნესის სამსახურში და საინტერესოს გახდის ჩვენს ბაზარს. ყველაზე საინტერესო იქნება თანაინვესტირების ფონდი... ასევე საქართველოში კომპლექსური გადასახადი არის 16% და ამ მხრივ ქვეყანა არის მეოთხე ადგილზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“,** – აღნიშნა პრემიერმა.

ქართველი ექსპერტები თვლიან, რომ ფონდების შექმნა ქართული ეკონომიკისთვის მართლაც მნიშვნელოვანი თანადგომა იქნება. ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში **ემზარ ჯგერენაია** მიიჩნევს, რომ ადგილობრივ ბიზნესს სჭირდება ლიკვიდური სახსრები, რაც დღეს არ აქვს და სერიოზული პრობლემაა.

**„ეს ქართული ბიზნესისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, ხოლო უცხოურ ინვესტიციებს სჭირდება სახელმწიფოს თანამონაწილეობა, რომ სახელმწიფოს მხრიდან გაცემული დაპირებები უფრო დამაჯერებელი იყოს“,** – მიიჩნევს ჯგერენაია.

**„ნებისმიერი ბიზნესმენი გეტყვით, რომ ძალიან გამარტივებულია მათი საქმიანობა იმ მხრივ, რომ არც გეკითხებიან, რას აკეთებ. თუმცა, ბაზრის კუთხით ბევრი რამ დასანგრევია. ჯერ, არც ერთი მონოპოლია არ არის დანგრეული და ბაზარი შეზღუდულია. ბაზარზე შესვლისა და ანტიმონოპოლიური საქმიანობის პრობლემა კვლავ აქტუალურია და ამ ყველაფრის მოგვარება ჯერ კიდევ წინ გვაქვს“,** – მიიჩნევს ემზარ ჯგერენაია.

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **ზურაბ ტყემალაძე** ამბობს, პირველ რიგში შეიცვალა ის, რომ ბიზნესი თავისუფლად გრძნობს თავს, არავინ არ აყაჩაღებს და არ ზღუდავს. მეორე, ტყემალაძის განმარტებით, არის ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის კუთხით ფონდების შექმნა, იგივე, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის შექმნილი კონცეფცია, რომელიც ინვესტორებისთვის დიდი სტიმულია.

**„მათ უჩნდებათ განწყობა, რომ თუკი სახელმწიფო ამდენს სარჯავს ეკონომიკისთვის, ეს მათი ბიზნესების განვითარებისთვისაც ერთგვარი გარანტია იქნება. როდესაც პარტნიორად და თანამონაწილედ სახელმწიფო ევლინებათ, ეს ბევრად დიდი სტიმულია და უფრო მეტ ინვესტიციას განახორციელებენ“,** – მიიჩნევს ტყემალაძე.

რაც შეეხება პრობლემებს, რაც ჯერ კიდევ აფერხებს ქართულ ბიზნესსაც და ინვესტიციებსაც, არც ისე ბევრია, თუმცა – გადამწყვეტი მნიშვნელობის. ემზარ ჯგერენაია თვლის, რომ მთავარი პრობლემა, ეს არის ბაზარზე დაშვება.

**„ლაპარაკი არ არის ბიზნესის გახსნის სიმარტივეზე, არამედ – თავისუფალი ბაზრის პრინციპების შესაბამისად, ბაზარზე დაშვებაზე. მეორე მთავარი პრობლემა არის ის, რომ ყველა დავა და ყველა პრობლემა უნდა გადაწყდეს სასამართლოთი, არა პროკურატურით და ვინმეს ჩარევით და რაღაც წერილებით. საკუთრების ხელშეუხებლობა არის ის, რასაც აღიარებს მთელი ცივილიზებული მსოფლიო და საქართველომაც უნდა აღიაროს. ნებისმიერი ნაბიჯი, სამართლიანობის აღდგენის პრინციპის სახელით თუ სხვა, თუ გამჭვირვალედ, სასამართლოში არ მოგვარდა, ყოველთვის იქნება სალაპარაკო. ეს არის ის ორი პრობლემა – ორი უზარმაზარი ორმო, რომელიც არსებობს საქართველოში და ინვესტიციებს აფერხებს“.**

როდესაც ბიზნესზეა ლაპარაკი, ჯერ კიდევ ჩნდება კითხვები იმ გავლენის ჯგუფების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა სფეროებში ცდილობენ ფეხის მოკიდებას.

პრემიერს არაერთხელ უთქვამს და კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ „ვერც ერთი ჩინოვნიკი ვერ გაბედავს, ჩაერიოს კერძო საკუთრებაში. ჩინოვნიკების დანიშნულება იქნება ხელი შეგიწყონ ნებისმიერ ბიზნეს წარმოებაში. ამ მხრივ, პირობები იქნება არანაკლები, ვიდრე არის ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში“.

პრემიერის ასეთი განცხადებების მიუხედავად, დიდი ხანია, მაგალითად, ხუხაშვილისა და ქართული ბიზნესის ფამილარულ ურთიერთობებზე ლაპარაკი ისმის და ერთ-ერთ ტელეეთერში ბიძინა ივანიშვილსაც კი მოუხდა ამ თემაზე საუბარი. ზურაბ ტყემალაძე თვლის, რომ ასეთი საუბრები გარდამავალი პერიოდისთვის არის დამახასიათებელი, როდესაც ადამიანებს რაღაც ეჭვები უჩნდებათ.

**„როცა ქვეყანაში ყველა ბიზნესი მონოპოლიზებული იყო და აბსოლუტური ჩარევები ხდებოდა, დღეს, როდესაც ვამბობთ, რომ ჩარევის მცდელობებს რაღაც ფრაგმენტული ხასიათი აქვს, ეს უკვე წინგადადგმული ნაბიჯია და დამერწმუნეთ, ეს ფრაგმენტული მომენტებიც მალე მოისპობა“.**

ტყემალაძე თვლის, რომ თუკი ვინმეს კიდევ წასცდება ხელი და ისევ დაიწყებს იმ ძალადობრივი სქემების აწყობას, ბიძინა ივანიშვილის დღევანდელი განცხადებაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ „ის აუცილებლად წაიტეხს კისერს“.

**„მგონია, რომ ეს არასწორი წარმოდგენების ბრალია, გარდამავალი პერიოდია და ყველამ კარგად ვიცით, ზოგი ცდილობს რაღაცა აუგოროს და ცუდი თქვას, ზოგს უნდა, რომ უფრო მეტი ახლობლობა მოიპოვოს ვიღაცასთან და სხვა დაძიროს. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ ხმებს არანაირი საფუძველი არ აქვს. დაველოდოთ და ყველა ვნახავთ, რა როგორ დალაგდება. ყველას ჰგონია, რომ თუ ადრე რომელიღაც კლანი რაღაცას აკონტროლებდა, დღესაც სადღაც ვიღაც ზის და ის აკონტროლებს ყველაფერს. თუმცა, თუ ასეთ საქციელს ექნება ადგილი, დამერწმუნეთ, რომ ყველა წაიტეხავს ცხვირს“,** – აცხადებს ტყემალაძე.

გავლენის ჯგუფების შესახებ სხვა წარმოდგენა აქვს ექსპერტ **დემურ გიორხელიძეს,** რომელიც თავის დროზე ივანიშვილის გუნდში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფციაზეც მუშაობდა. გიორხელიძე თვლის, რომ თუ ივანიშვილი პოლიტიკურად მოერევა გავლენის ჯგუფებს, ქვეყნის ეკონომიკურ წარმატებას ვერაფერი შეაფერხებს.

**დემურ გიორხელიძე:** საქართველო შეიძლება გახდეს საყრდენი რეგიონალური ქვეყანა, სადაც რეგიონის მასშტაბით ინვესტიციები განხორციელდება. კონცეფციის დონეზე ეს ყველაფერი საკმაოდ კვალიფიციურადაა გაწერილი, თუმცა ამ ყველაფერს შესრულება უნდა. ბიძინა ივანიშვილმა რაც განაცხადა, ძალიან კარგი და რეალურად განხორციელებადია და ამ ყველაფერს წინ ხელისუფლების ნების გარდა, არაფერი უდგას.

**– შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში ბიზნესი უკვე თავისუფალია?**

– დღეს ბიზნესი საქართველოში ბოლომდე თავისუფალი არ არის, არსებობენ ჩრდილოვანი გავლენის ჯგუფები, ძალიან ოდიოზური პიროვნებები, ამის თაობაზე ძალიან ხმამაღლა ვისაუბრე ჯერ კიდევ არჩევნებამდე. ამიტომ, ერთი მხრივ, ბიძინა ივანიშვილის ბრწყინვალე განცხადებები წინააღმდეგობაში მოვა ამ ოდიოზური ჯგუფების ინტერესებთან და მთავარი ის არის, რამდენად შეძლებს ივანიშვილი თავის პოლიტიკურ ჯგუფთან ერთად დათრგუნოს და კანონის ფარგლებში ჩააყენოს ყველა ის ჯგუფი, რომელიც დღეს მისი სახელით მოქმედებს და საკმაოდ არაკეთილსინდისიერად იქცევა, მათ შორის – ბიზნესში.

**– რამდენ ჯგუფზეა ლაპარაკი?**

– არის ერთი-ორი, საკმაოდ სოლიდური ჯგუფი, რომლებიც არაფორმალური მმართველები არიან ქვეყნისა და იმაზე მეტ უფლებას აძლევენ თავს, ვიდრე ეს ინსტიტუციონალურ, ძალიან მაღალი რანგის მოხელეებს ხელეწიფებათ. საკმაოდ ცნობილ რამეს ვამბობ, ახალი არავისთვის არ არის. ერთი რამ შემიძლია გითხრათ, შესანიშნავია ბატონი ბიძინას განცხადებები და ამაში მას სრული მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, არაფორმალური მართვით, არაფორმალური გავლენის ჯგუფებით ამ საქმის გაკეთება შეუძლებელია.

მხოლოდ ინსტიტუციონალური ცვლილებები, მხოლოდ ინსტიტუციონალური ფაქტორებით და არანაირი გვერდითი, ჩრდილოვანი ფიგურები – საქმეს დაღუპავს ასეთი ჯგუფების არსებობა, რადგან ისინი თუ თამაშის იმ წესებით ითამაშებენ, რაც ყველასთვის საერთოა, აღმოჩნდება, რომ საპნის ბუშტებივით გასკდებიან, რადგან რეალურად ბევრი არაფერი შეუძლიათ.

სწორედ ამიტომ, ეს ჯგუფები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ის, რაზეც ივანიშვილმა ისაუბრა, არ გაკეთდეს. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, შესაძლებელია, რომ ორ-სამ წელიწადში ქვეყანა მართლაც ფეხზე დადგეს.

**– გავლენის ჯგუფებში თუ ხუხაშვილს გულისხმობთ, მასზე ბევრს ლაპარაკობენ, სხვა რომელი ჯგუფია?**

– იცით, რომ მორიდებული კაცი არ ვარ და თითის გაშვერით შემიძლია ლაპარაკი. ამ ეტაპზე ვფიქრობ, მთავარია, რომ ყველანაირად ხელი შეეწყოს პრემიერ-მინისტრს, რომ ის, რაც განაცხადა, მხარდაჭერილი იყოს. მას საზოგადოებრივი მხარდაჭერა სჭირდება. მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა ასეთი ტიპის საქმეებს ვერ გააკეთებს, ეს უნდა იყოს ღია.

საზოგადოებასთან სრულ თანხმობაში არსებული პროგრამა იწერება, მეც ვარ ერთ-ერთი მონაწილე იმ სტრატეგიისა, რომელიც ქვეყნის განვითარებას ეხებოდა. შემიძლია, გითხრათ, რომ შესანიშნავი სტრატეგია იქნება. რაკი მთავრობის მეთაურისგან მოდის, ეს ნიშნავს, რომ მას სურვილი აქვს, ამ სტრატეგიის ფარგლებში იმოქმედოს.

ვფიქრობ, რომ, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით ბიძინა ივანიშვილი მოერევა გავლენის ჯგუფებს და ეყოლება თანამოაზრეთა ძალიან პროფესიონალური ჯგუფი, გარწმუნებთ, ორ-სამ წელიწადში შეცვლილ ქვეყანას ვიხილავთ, ისეთს, რომ ვერც ვიცნობთ.

ამ ეტაპზე შემიძლია, გითხრათ მხოლოდ ის, რომ ზოგიერთი ჯგუფი ძველ, საკმაოდ გავლენიან ჯგუფებთანაც ასოცირდება. ჯერჯერობით, მათ ხელშია ყველაფერი, რადგან ამ დროის განმავლობაში, ახალი ჯგუფები ვერ წარმოიქმნებოდნენ. დღევანდელ სიტუაციაში ასეთი ჯგუფები ვერც გაჩნდება ქვეყანაში თუ პრემიერ-მინისტრმა ძალიან არ მოინდომა.

**– რატომ ვერ გაჩნდება?**

– უბრალოდ, დღეს არ არის ამისი არანაირი საშუალება, რომ ახალი ძლიერი ჯგუფები გაჩნდეს, ბანკები ჩაკეტილია, ფინანსური ინფრასტრუქტურა არ არის, ბიზნესის დამწყებს არანაირი ხელშეწყობა არ აქვს, ათასობით ადამიანს საქმის დაწყების საშუალება არ აქვს, სოფელი ისევ მიტოვებულია და თაღლითური სქემა იქნა შემოგდებული, რომელიც უფრო ივანიშვილის დისკრედიტაციისთვის არის განკუთვნილი, ვიდრე რეალურად, სოფლის მხარდაჭერისათვის. ნახეთ, სოფელში რა ამბავია, ვერავინ ვერაფერს ვერ იღებს, ვერავინ ვერაფერს ვერ აკეთებს, თუმცა, მოსურნე ბევრია.

**– სხვათა შორის, კულუარებში უკვე ლაპარაკობენ ერთ-ერთი გავლენის ჯგუფზე, რომელიც აქტიურად ცდილობს სოფლის მეურნეობაში „ხელის ჩაყოფას“.**

– არავინ არ დაუშვებს, ვგულისხმობ გავლენის ჯგუფებს, სოფლის მეურნეობის განვითარებას, რადგან ესენი იმპორტზე ორიენტირებული გავლენის ჯგუფები არიან. საკუთარი წარმოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარება დაასამარებს მათ ინტერესებს. სამწუხაროდ, ერთი-ორი მინისტრი ფარულად იმპორტიორების ხელშემწყობია და ისე აკეთებს, თითქოს, რაღაცის განვითარება უნდა, მეორე მხრივ ყველაფერი ბლოკირებულია.

ამიტომ, როცა 80% ქვეყნის ეკონომიკისა და სახელმწიფო შესყიდვების დიდი ნაწილი იმპორტზეა ორიენტირებული და ადამიანები მილიონობით დოლარს კიდებენ ხელს დაუმსახურებლად, ბუნებრივია, იქ საუბარი შეიძლება იყოს მხოლოდ ხისტ, პოლიტიკური პასუხისმგებლობით აღსავსე ნებაზე, რომ ეს ჭაობი დაინგრეს. ამ ჭაობის დანგრევა ელემენტარულად შეიძლება, მთავარია, იყოს ნება. რაკი ივანიშვილმა ასეთი ნება გამოხატა, ახლა მთავარია ხალხი, ვინც დაანგრევს ასეთ მახინჯ სისტემას და გარწმუნებთ, ზუსტად ისეთი ქვეყანა გვექნება, როგორიც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა.

**– განვლილ პერიოდში რა ცვლილების გამოყოფა შეიძლება, რა გახდა ბიზნესისთვის სერიოზული შეღავათი?**

– ის, რაც უკვე განხორციელდა, არის პირველი დიდი ნაბიჯი – დღეს ბიზნესს არ ეშინია, რომ ვიღაც მოვა, ღამე სადღაც წაიყვანს და ნოტარიუსთან თავის ქონებას გადაიფორმებინებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ბიზნესის კეთების თვალსაზრისით რაიმე შეიცვალა. დიახ ქონებას აღარ ართმევენ ხალხს, მაგრამ ჩაკეტილი საბანკო სისტემა, სხვა ინსტიტუტები, ხელშემშლელ ფაქტორებად გვევლინება. სამართლებრივი ინფრასტრუქტურაც ჯერ მოწესრიგებული არ არის, რომ თავისუფალ მეწარმეობას შეუწყოს ხელი.

ჯერჯერობით, ის, რასაც პრემიერი აცხადებს და რასაც მის მიერ დანიშნული ზოგიერთი მაღალჩინოსანი აკეთებს, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის.

**მარიამ თოდაძე**

◎ ალიან-ჩალიანი

## დაიწყეს „სინათლის ქალაქის“ შემოწმება

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა შპს „სინათლის ქალაქიდან“ შესამოწმებლად დოკუმენტაცია წაიღო, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიის დაქვემდებარებაში მყოფი შპს-ს დირექტორმა ნიკა ტოგონიძემ განუცხადა.**

**მისივე თქმით, შპს-ში შემოსავლების სამსახურიც მუშაობს, რომელიც ინვენტარიზაციას ატარებს. ასევე, „სინათლის ქალაქის“ საწყობების დალუქვის პროცესი მიმდინარეობს. შპს „სინათლის ქალაქი“ საგამოძიებო და შემოსავლების სამსახურების შესვლის გამო სამშაბათს დილიდან პარალიზებული იყო.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წერილი რედაქციას

# შეჩერებული, აღდგენილი და დაკნინებული რუსთაველის პრემია

**რა შემაძრწუნებლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ეს სათაური, მწარე სიმართლეს ვერსად გავექცევით. ამიტომ პირდაპირ ვიტყვი, რომ პრემია, რომელიც საქართველოში ყველაზე პრესტიჟულად ითვლება, დღეს საკმაოდ უცნაურად გაიცემა და, ფაქტობრივად, გაუფასურებულია.**

მათ, ვინც საქმის კურსში არ არის, შევახსენებ, რომ:

**„შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაზე განაცხადები მხატვრული ლიტერატურის, მუსიკალური, კინო, სახვითი და თეატრალური ხელოვნების, არქიტექტურის, რუსთველოლოგისა, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგში მიიღება.**

**შოთა რუსთაველის სახელობის სამი პრემია გაიცემა ორ-სამ წელიწადში ერთხელ, თითოეული 15.000 ლარს შეადგენს.**

**პრემიასთან ერთად, გამარჯვებულს შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება ენიჭება და ლაურეატის დიპლომი, ოქროს მედალი და ფულადი ჯილდო გადაეცემა.**

**ამასთან, საქართველოს ეროვნული შვიდი პრემია გაიცემა, თითოეული 10 000 ლარის ოდენობით, გამარჯვებულს ენიჭება საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის წოდება და საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის დიპლომი, ასევე გადაეცემა ვერცხლის მედალი და ფულადი ჯილდო.**

რუსთაველის პრემიის გაცემა ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში, ფაქტობრივად, ინერციით ხდებოდა, რადგანაც მთელი სამი წლის განმავლობაში პრეზიდენტთან არსებული პრემიების კომისია არ შეკრებილა, საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება, რომ პრემიები და მათ შორის რუსთაველის პრემიაც, გაუქმებული იყო.

მას შემდეგ, რაც მიხეილ საკაშვილმა ქართველი ინტელიგენცია თავისი ჭკუით „ჩარეცხა“ და ფართო ასპარეზი მისცა ახალ ადამიანებს“, მაშინვე გაჩნდა წახალისების უფრო „ცივილიზებული“ ფორმები.

2003 წელს დაარსდა პრემია „საბა“, რომელიც თავიდან მართლაც ღირსეულ მწერლებს მიენიჭა, მაგრამ შემდგომ, როგორც „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ შემოჭრილი ყველა სხვა ინოვაცია, გაუფასურდა და ფართო კრიტიკის საგანი გახდა.

რაც შეეხება ლიტერატურულ პრემია „გალას“, ის დაარსების დღიდანვე საზოგადოებისთვის აშკარად მიუღებელი აღმოჩნდა.

ამ ორი ე.წ. „შინაურული პრემიით“ რუსთაველის პრემიის „ჩანაცვლებამ“ ბევრი ვერაფერი შედეგი მოიტანა და ქართულ ხელოვნებაში „თანამედროვე სტილი“ მაინცადამაინც ვერ „დანერგა“.

პრინციპში რა შედეგზეა ლაპარაკი, როდესაც პრემია „გალა“ თავისი ჟიურისა და დამფუძნებლის ზაალ სამადაშვილის „წყალობით“ ხალხმა თავიდანვე არასერიოზულად აღიქვა და მის გარშემო მრავალი საქილიკო სტატიაც დაიბეჭდა (მაგალითად, მალხაზ ხარბედიას სტატია „წიგნების წარღვნა“).

ზუსტად ვერ ვიტყვი, მიხვდა თუ არა მიხეილ საკაშვილი იმას, რომ მისი სურვილი „ახალი კულტურის შექმნის“ შესახებ, ვერ „ავიდა“ ჩინური „კულტურული რევოლუციის“ დონეზე და ამის გამო გადაწყვიტა აღედგინა რუსთაველის პრემია, თუ მოინდომა ამ მართლაც ღირსეული პრემიის ნაციონალთა პოლიტიკური კონიუქტურისთვის დაქვემდებარება, მაგრამ 2008 წლის 8 ივლისს მაშინდელი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გია ნოდიამ საზოგადოებას შოთა რუსთაველისა და ეროვნული პრემიების „დაწესების“ შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულება გააცნეს.

ამ ბრძანებულებაში ნათლად ჩანს, რომ რომ 1980 წელს დაწესებული სახელმწიფო პრემია ეროვნულ პრემიად გადაკეთდა, ხოლო რუსთაველის პრემია, რომელიც 1964 წლიდან გაიცემა, უცვლელი სახით შენარჩუნდა.

რუსთაველის პრემიის მისაღებად დაარსების დღიდან საკმაოდ ბევრი ინტრიგა ჩახლართულა. თუმცა, ინტრიგა რა მოსატანია, როდესაც იოსებ ნონეშვილი სპეციალურად „ჩაძირეს“ და ეს უაღრესად საპატიო პრემია არ მიაკუთვნეს. როგორც ამბობენ, იოსებ ნონეშვილი ამ ამბავს გადაჰყვა კიდეც – ძალიან მალე უეცრად გარდაიცვალა.

თუნდაც, ეს სამწუხარო ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსთაველის პრემიის მნიშვნელობას და წონას.

აღარ მოვყვები სხვა ისტორიებს, რომლებიც ამ პრემიის გარშემო ვითარდებოდა, უბრალოდ ვიტყვი, რომ რუსთაველის პრემიას არა მხოლოდ კომისია, არამედ მთელი ქართველი ხალხი იძლეოდა.

მიხეილ სააკაშვილისა და მისი იდეოლოგიური თანამებრძოლების სტრატეგია, რომელიც ქართველი ხალხისთვის ყველაზე ძვირფასი სიმბოლოების დაკნინებას ისახავს მიზნად, არც ამ პრემიის გარშემო დარჩა „გულგრილი“.

შარშან, 2012 წლის 6 ივნისს საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში, მთავრობის სახლში შოთა რუსთაველის სახელობისა და საქართველოს ეროვნული პრემიები მისთვის ჩვეული სტილით ჩამოარიგა. შოთა რუსთაველის სახელობის პრემია ხელოვნების დარგის შვიდ წარმომადგენელს მიენიჭა:

კინორეჟისორებს – **მიხეილ კობახიძესა** და **ალექსანდრე რეხვიაშვილს** ქართულ კინემატოგრაფიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, მუსიკოსებს – **თენგიზ ამირეჯიბს, მანანა დოიჯაშვილს, ხატია ბუნიათაშვილს** ხანგრძლივი და ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისთვის და ქართული მუსიკის პოპულარიზაციისთვის როგორც საქართველოში, ასევე საზღვრებს გარეთ. რუსთაველის სახელობის პრემია მიიღო **ნიკოლოზ რაჭველმა** „ქეთო და კოტეს“ ახალი მუსიკალური ვერსიის შექმნისთვის. რუსთაველის პრემია გადაეცა ასევე მწერალ **ვახტანგ ჯავახაძეს.**

ნამდვილად არ შევაფასებ ლაურეატებს და მათ მიერ განვლილ შემოქმედებით გზას. ეს საზოგადოების პრეროგატივად უფრო მიმაჩნია, მაგრამ იმას კი ნამდვილად ვიტყვი, რომ ხატია ბუნიათაშვილი (რომელსაც ქართველი ხალხისთვის არასოდეს დაუკრავს, რადგანაც ანაკლიის „მოსიარულე“ ხიდზე მიშასთვის დაკვრა, ქართველი ხალხისთვის დაკვრას არ ნიშნავს) და ნიკოლოზ რაჭველი, რომელმაც მდარე გემოვნების „ქეთო და კოტე“ „შექმნა“, ნამდვილად იმსახურებენ პოეტ გივი ძნელაძის შეფასებას: „პრემია კი მისცეს, მაგრამ რად გინდა, ლაურეატი მაინც ვერ გახდა!

საინტერესოა, თუ რა ხდება დღეს. ვის „ხელშია“ ამ პრემიის გაცემა.

როგორც ბრძანებულებაშია ნათქვამი, კომისიას პრეზიდენტი თავმჯდომარეობს და თანათავმჯდომარეები განათლებისა და კულტურის მინისტრები არიან.

ასევე საინტერესოა, ჩაერთვება თუ არა საზოგადოება ნომინანტების განხილვაში, თუ საკაშვილი ისევ ჩამოირბენს, ისევ ჩამოარიგებს ნებისმიერი ქართველისთვის ამ უმნიშვნელოვანეს ჯილდოს.

როგორც ვხედავთ, კითხვა ბევრია. 26 მაისიც, როცა ღირსეულთა დასახელება უნდა მოხდეს, ახლოვდება.

პასუხები კი არ ჩანს.

**ოთარ ჭითანავა**

◎ SIC!

# მუდმივი გაურკვევლობა

## ბაქო-თბილისი-ყარსის მაგისტრალის მშენებლობის გამო

**ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით მუდმივად ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციები ვრცელდება. ამგვარი ვითარებაა არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც.**

მაგალითად, 2 დღის წინათ პროექტის შეჩერებაზე განცხადება თურქეთის პარლამენტის ოპოზიციური პარტიის წევრმა ენსარ ოხუთმა გააკეთა. **„ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა თურქულმა მხარემ გაურკვეველი დროით შეაჩერა“,** – აღნიშნა ოხუთმა.

დეპუტატი ამბობს, რომ რკინიგზის მშენებლობა შეფერხდა და ამაზე პასუხს თურქეთის ხელისუფლება აგებს.

**„მე ვთხოვ აზერბაიჯანის პრეზიდენტს, საქართველოს ხელისუფლებას და ჩვენ მხარეს, უმოკლეს ვადებში ჩაატარონ შეხვედრა და დააჩქარონ რკინიგზის მშენებლობა“,** – ამბობს ენსარ ოხუთი.

**აღსანიშნავია, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის მშენებლობის საკითხები სულ ახლახან - 17 აპრილს, საქართველო-თურქეთის ერთობლივი კომისიის პირველ სხდომაზე განიხილეს. სწორედ მაშინ გაირკვა, რომ აზერბაიჯანი თანხებს არ იშურებს, რათა პროექტი რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს. ამ ეტაპისთვის ჩვენმა მეზობლებმა სარკინიგზო ხაზის საქართველოს მონაკვეთის მშენებლობისათვის უკვე 775 მილიონი დოლარი გამოყვეს, თუმცა, პროექტის დადგენილ ვადებში დასრულება მაინც ვერ ხერხდება.**

სხვათა შორის, ბოლო პერიოდში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები, თურქი პოლიტიკოსის მსგავსად, ამტკიცებდნენ, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიზგის მშენებლობა შეჩერებულია.

საქართველოს მთავრობა კი ორივესგან განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს. ორი ქვეყნის ერთობლივი კომისიის სხდომის შემდეგ გაირკვა, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის ფარგლებში გვირაბის მშენებლობა მაისიდან განახლდება.

**„რამდენადაც ვიცი, გვირაბის მშენებლობა მაისიდან უნდა განახლდეს. ის პრობლემები კი, რაც მშენებლობის პროცესში დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით არსებობდა, გადაწყდა. სხვა ყველაფერი კი სამუშაო პროცესია“,** – განაცხადა ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და დასძინა, რომ დანარჩენ ნაწილზე მშენებლობა ამჟამადაც მიმდინარეობს.

ამასობაში საქართველო ნატოს ავღანეთიდან ტვირთების გადაზიდვას სწორედ ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზით სთავაზობს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ამის თაობაზე ნატოს მინისტერიალზე ისაუბრა. მინისტრის თქმით, ISAF-ის შეხვედრაზე მან ავღანეთის მისიაში საქართველოს მონაწილეობაზე გაამახვილა ყურადღება.

როგორც ფანჯიკიძემ თქვა, ამჟამად, საქართველო ავღანეთში 1700-მდე სამხედრო მოსამსახურით არის წარმოდგენილი და 2014 წლის შემდეგაც გაგრძელებს ავღანეთში საკუთარ კონტრიბუციას. მინისტრის განცხადებით, შეხვედრაზე მან კიდევ ერთხელ ისაუბრა მთავრობის ინიციატივაზე და ალიანსის ავღანეთიდან ტვირთების უკუტრანზიტისთვის ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი შესთავაზა.

**„ჩვენ ამ საკითხზე ყოველთვის ვსაუბრობთ ნატოელ პარტნიორებთან. პირველად ეს ინიციატივა ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გაახმოვანა. ინტერესი ამ სარკინიგზო მონაკვეთის მიმართ ძალიან დიდია. ამის შესახებ საკუთარ გამოსვლაში თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც აღნიშნა.**

**ეს არის სამი ქვეყნის ერთობლივი პროექტი, რომელიც ნატოსთვის შეიძლება იყოს საინტერესო. როდესაც 2014 წლის შემდეგ დაიწყება ავღანეთიდან სამხედრო შენაერთების გაყვანა და სამხედრო ტვირთების გამოტანა, ეს არის უმოკლესი და შეღავათიანი გზა. დარწმუნებული ვარ, ეს წინადადება მისაღები გახდება ნატოსთვის“,** – განაცხადა ფანჯიკიძემ.

**ეკა ბაძრაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# ბლოგუსი: ვითომ საქართველო ადარდებს...

# დაზიანდება თუ არა საქართველოს სახელი?

**სააკაშვილის ყბადაღებული გამონათქვამი – „ჩვენი მოსვლით გაიცნო მსოფლიომ საქართველო, თორემ შევარდნაძის დროს მას არავინ იცნობდა, რუკაზეც ვერავინ აგნებდა საქართველოს, დღეს კი ყველამ იცისო“, შინ მოყვარეს უბრმავებს თვალს, გარეთ - მტერს.**

სააკაშვილი „მართალია“, ვინაიდან სწორედ მისმა ექსცენტრულობამ, რუსეთის მიმართ მკვახე განცხადებებმა, დაუპატიჟებელმა ვიზიტებმა, პოლიტიკური თუ დიპლომატიური ეთიკეტის მუდმივმა დარღვევამ, მოუზომავმა რიტორიკამ, დუჟმორეულმა ლაპარაკმა, ცხვირზე „ღრმადტაქტიანმა“ თითის (განსაკუთრებით საჩვენებელი თითის) გასმამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ევროპა-ამერიკის პოლიტიკოსებზე. ასეთი არ შეიძლება არ მოგწონდეს.

და მოსწონდათ ის 1995 წლიდან დაწყებული, განსაკუთრებით ბოლო ცხრა წელიწადი. მოსწონდათ იმიტომ, რომ ის განსხვავებული იყო ყველა კოლეგა ევროპელი თუ ამერიკელი პოლიტიკოსისგან – ერთობ ტრაფარეტულისგან – წინასწარ გათვლილი, აწონილ-დაწონილი ლაპარაკით, დახვეწილი ქცევით.

მოსწონდათ მისი ჩაცმულობა, ფერთა შეუხამებლობით, როგორც პაოლო კოელიო ამბობს - „მონობისა და ძალაუფლების სიმბოლოს“ (ჰალსტუხის) მუდამ მოღრეცილად ტარებით, თავშეუკავებელი თქვლეფით. რომელ ერთს ჰქონდა ან აქვს მსგავსი თვისებები?

მაგრამ სააკაშვილი არა მარტო ამისთვის მოსწონდათ. მოსწონდათ რობინ ჰუდობისთვის, კაკო ყაჩაღობისთვის, ანუ ბიზნესისთვის შეწერილი ფულისა და ქონების ვითომდა „ღარიბთათვის“ მიცემისთვის.

**სააკაშვილი სხვა რამისთვისაც მოსწონდათ. უპირველესად - ფარული გარიგებებისთვის, რომელიც, შესაძლოა, არასდროს გახდეს ჩვენთვის ცნობილი, ვინაიდან საიდუმლოა, თანაც ისეთი, სახელმწიფო საიდუმლო რომ ჰქვია. სწორედ ამ საიდუმლო გარიგებების გამო მოსწონდა სააკაშვილი დასავლეთს უმთავრესად და არა ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებისთვის, თუმცა გვიმტკიცებდა საწინააღმდეგოს – ქარიზმატულობისთვის მომწონსო.**

ის, რომ მოჭარბებულად „ქარიზმატულმა“ პრეზიდენტმა, არადიპლომატიური ქცევით ჩირქი მოსცხო ქვეყანას, რომელსაც ის წარმოადგენდა – დასავლეთს ფეხებზე, შესაძლოა, სხვა ორგანოზეც ეკიდა. „ეს ჩვენი საქმე არ არის, ეს ქართველების საქმეა, ჩვენ საშინაო ცხოვრებაში არ ვერევითო“, – ამბობდნენ სტრატეგიული „პარტნიორის“ წარმომადგენლები. იმდენი მათ რა ვუთხარი.

როცა სჭირდებათ, საშინაო საქმეებშიც ერევიან და კარ-ფანჯარაჩარაზულ სახლში საკანალიზაციო მილიდან შედიან. ასე იყო 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როდესაც წაგებულ სააკაშვილს ბუშმა და მისმა ადმინისტრაციამ მოაგებინა.

ეს რომ არ ყოფილიყო, 2008 წლის ომიც არ იქნებოდა – შესაბამისი შედეგებით. არ იქნებოდა ბევრი რამ, რასაც ომის შემდეგ მოხდა. „პარტნიორი“ დღესაც სიმაღლეზეა – არც ერთ კანონპროექტს არ ჩაუვლია ამერიკელი ნორლანდის (ელჩის) მახვილი თვალის გარეშე. ქართული მედია ნებისმიერ საკითხზე უპირველესად ნორლანდის აზრს კითხულობს, თან ცდილობს, როგორმე დადებითი ათქმევინოს მას, შემდეგ ჩვენ რომ გვახაროს.

საბჭოთა კავშირის დროს გაზეთებში იყო ასეთი რუბრიკა - „ამას ამბობენ შენზე, ჩემო სამშობლოვ“. ჩასაფრებული ჟურნალისტი მაქსიმალურად ცდილობდა ჩამოსული უცხოელისთვის როგორმე დაეცდევინებინა - „კარგი და ლამაზია საქართველოო“.

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა, ბევრიც შეიცვალა, მაგრამ იმ-ჟამინდელი პროვინციალიზმი გადაურჩა ჟამთა ცვლას. მან ახალი სახე შეიძინა, უფრო აგრესიული. ამერიკის ან ნებისმიერი უცხოელისგან რა მიდის - იტყვის კარგები ხართო და სიხარულით აღარ ვართ.

ბევრი რამ მოხდა ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, მათ შორის – უმაღლესი დონის ვიზიტები, რომლებმაც შორს გაიტანეს საქართველოს სახელი. სხვას ვერაფერს იტყვი, თუნდაც აშშ-ს პრეზიდენტის ბუშის ვიზიტზე, რომელსაც მრავალი ქვეყნის ტელეკომპანია პირდაპირ გადასცემდა მთელს მსოფლიოში.

პოსტსაბჭოთა სივრციდან აბა რომელ ქვეყანას სტუმრობდა აშშ-ს პრეზიდენტი? დსთ-ს რომელ წევრ სახელმწიფოში აათამაშა ბუშმა თეძოები? „მეოცნებენი“ გაიძახიან, მაღალი სტუმრები საქართველოს სტუმრობდნენ და არა სააკაშვილსო. კეთილი, საქართველოს სტუმრობდნენ სააკაშვილის ხათრით. არ მგონია, რომელიმე მათგანს დიდი ცოდნა ჰქონოდა საქართველოს შესახებ, რუკაზეც ვერ მიაგნებდნენ თანაშემწეთა გარეშე.

**დასამახსოვრებელი იყო აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის ვიზიტიც, განსაკუთრებით მისი მიმართვა პრეზიდენტის დედისადმი – „გმადლობთ, ასეთი შვილის აღზრდისთვისო“. ისიც გემახსოვრებათ, სენატორებმა ჰილარი კლინტონმა და ჯონ მაკკეინმა, წერილით რომ მიმართეს ნობელის პრემიის საორგანიზაციო კომიტეტს, სააკაშვილისთვის ნობელის პრემიის მინიჭებისათვის.**

ბევრის ჩამოთვლა შეიძლება, რამეთუ იშვიათობას არ წარმოადგენდა ასეთი მაგალითები. მათი რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა სენატორ მაკკეინის გაპრეზიდენტების შემთხვევაში. გადავრჩით! საქართველოს ღმერთმა კეთილად გადმოხედა, რომ არა ეს, წარმოგიდგენიათ, რას დამართებდა სააკაშვილი ქვეყანას?!

**სააკაშვილი მოსწონდათ იმიტომაც, რომ ქვეყანაში არსებული მნიშვნელოვანი სამინისტროები, დაწესებულებები და ობიექტები ამერიკელი „სპეციალისტებით“ გაჯერდა. ქვეყნის მართვის სადავეები ამერიკული სპეცსამსახურების გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ქვეყანა დაიფარა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ამერიკული ინსტიტუტების ქსელით.**

**ქართული არასამთავრობოები ამერიკულ ყაიდაზე აეწყო, ამერიკული დაფინანსებითა და იდეოლოგიით. ძალოვანი სტრუქტურები, განსაკუთრებით თავდაცვის სამინისტრო, შსს ამერიკელი სამხედრო ექსპერტების წვრთნის პოლიგონად გადაიქცა. ქვეყნის საფინანსო პოლიტიკა სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის უშუალო კონტროლქვეშ მოექცა.**

რიგით ქართველზე, განსაკუთრებით ახალგაზრდაზე უდიდესი გავლენა იქონიეს აშშ-დან, სხვა ინგლისურენოვანი ქვეყნიდან ჩამოსულმა პედაგოგებმა. სწრაფი ამერიკანიზაციის მთავარი ინიციატორი, სააკაშვილი, ვაშინგტონში გაგზავნილ პატაკში სისტემატურად აღნიშნავდა ჩამოთვლილ „წარმატებებს“.

სააკაშვილი ყველა მაღალი რანგის სტუმარს სიამაყით ეუბნებოდა ქვეყნის ამერიკულად გარდაქმნის სისწრაფესა და სიკეთეზე. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის ბოლო ვიზიტი სწორედ ამით იყო დასამახსოვრებელი. ვის არ ესიამოვნებოდა უკანალში ესოდენ გულწრფელი ძვრომა? ჰოდა ჰილარიც ლამის აქვითინდა სააკაშვილის ნათქვამზე – ბავშვებს პირველი კლასიდან ვასწავლით ინგლისურსო.

არის სადმე ქვეყანა, ვისაც არ მოეწონება საკუთარი ენის, ცხოვრების წესის თავქუდმოგლეჯილი მიმდევარი? ალბათ, არა. გერმანია, ინგლისი, აშშ, სხვა ქვეყნები დიდ ფინანსებს ახმარენ ამა თუ იმ ქვეყანაში საკუთარი ენისა და კულტურის გავრცელებას და მიუხედავად ამისა, ისეთ მასობრიობას ვერ აღწევენ, როგორც მათ სურთ. აქ კი, პრეზიდენტის ერთი ხელის მოსმით უმალ გადაიჭრა ამერიკული თემა. **არის სადმე ქვეყანა, სადაც ხელისუფლების იდეოლოგი იტყვის, რომ ინგლისური მშობლიური ენა უნდა გახდესო?**

**არის და მას საქართველო ჰქვია. ქვეყანა, რომელიც მერამდენე წელიწადია, აპრილში, ზარ-ზეიმით აღნიშნავს ქართული ენის დღეს. აღნიშნავს ჩვეული პათოსით, მთავრობიდან დაწყებული, რიგითი მოქალაქით დამთავრებული – ყასიდად, ფარისევლურად, მოჩვენებით – ვინაიდან სწორედ ისინი უპატაკებენ ვაშინგტონს ინგლისურის დედაენობაზე.**

14 აპრილი არა მარტო ენის ყასიდი გახსენების თარიღია, არამედ კიდევ ერთი საბაბია ზოგიერთი ქართველის მიერ შეთხზული ზღაპრის საჯარო აფრიალებისთვის, ბრძოლით მოპოვებული მშობლიური ენის შენარჩუნებისთვის. მტერი რუსეთის მიერ ქართული ენის წინააღმდეგ წამოწყებულ ომში ქართველთა გამარჯვების კიდევ ერთი გახსენებაა.

**საბჭოთა საქართველოში აღმოცენებული ზღაპარი მაკრატლიანი რუსი დათვისა, რომელიც ძალით აღებინებს პირს ქართველს ენის მოსაჭრელად, ანუ დედა ენის საქართველოს კონსტიტუციიდან ამოსაღებად, დღესაც წარმატებით ვრცელდება და, როგორც ჩანს, ასე გაგრძელდება მომავალშიც. თაობიდან თაობაზე გადავა ერის ჰეროიკული ბრძოლის ამსახველი ზღაპარი.**

სპექტაკლის სამზარეულოს თითო-ოროლაღა შემოვრჩით. ჩვენი ხმა, აშკარა უმცირესობაშია და გადაქანებულთა ხმად აღიქმება. ვის აძლევს ხელს გმირული ზღაპრის სიცრუედ გამოცხადება, ვის აწყობს ათეული წლების განმავლობაში არსებული ერის ჰეროიკული „ბრძოლის“ გაბათილება? არც არავის.

არც ერს და არც ბერს. არც გუშინდელს და არც დღევანდელს, ვინაიდან გაბათილება თავისთავად მოწმობს საკუთარი თავის დადანაშაულებას და წლების განმავლობაში მტრად წარმოჩენილის გამართლებას. ეს, რომ რუსეთი არ ყოფილიყო, კიდევ შეიძლებოდა ფიქრი, მაგრამ „სამარადისო“ მტრის გამართლება გუშინდელი, მით უმეტეს დღევანდელი ქართველისთვის შეუძლებელია – და რახან შეუძლებელია, სამარადისოდ დარჩება „გმირული ზღაპარი“– მერე რა რომ ზღაპარია და მეტი არაფერი.

მაინც რატომ არის ზღაპარი? ქართული ენის „მხსნელმა“ ედუარდ შევარდნაძემ კონსტიტუციის პროექტში საკუთარი მითითებით შეატანინა: სახელმწიფო ენა – რუსული. შეკითხვაზე, რატომ რუსული, როდესაც წინა კონსტიტუციაში ქართული არისო, მან გვიპასუხა – ქართული რომ არის, ისედაც ცნობილია და მას დაფიქსირება არ სჭირდებაო. იგივეს ამბობდა საკონსტიტუციო კომისიის მდივანი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თამარ ლაშქარაშვილი.

**კონსტიტუციის პროექტს, დღეს რომ ვენეციის კომისიას აახლებენ დასკვნისთვის, მაშინ მოსკოვს ამოწმებინებდნენ. შემოწმების დროს, რუსულმა მხარემ, სწორედ, ამ საკითხს მიაქცია ყურადღება და კატეგორიულად გვირჩია, შეგვეცვალა, ანუ დაგვეტოვებინა ისე, როგორც წინა კონსტიტუციაში იყო სახელმწიფო ენა ქართული, რაც არ გაიზიარა თბილისმა.**

რა ამოძრავებდა შევარდნაძეს? უპირველესად, მაამებლობა, ვითარების დაძაბვის შემთხვევაში - გმირის სახელის მოხვეჭა. დეტალებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. პარლამენტის შენობასთან თავმოყრილი სტუდენტობა და ინტელიგენცია გულით და სულით იცავდა საკუთარ ენას. მას ვერაფრით წარმოედგინა, უფრო მეტიც, დღესაც ვერ წარმოუდგენია, რომ იმ დღეს დიდი ფარსი გათამაშდა, რომელმაც შევარდნაძე გმირად აქცია, რუსეთი - მტრად. ასე შეიქმნა „ზღაპარი“ ქართული ენის გადარჩენისა.

ნათქვამია, პოლიტიკა ბინძური საქმეაო, მაგრამ სიბინძურე, არა აბსტრაქციულ სიტყვა „პოლიტიკიდან“ მოდის, არამედ იმ ბინძური ადამიანების მხრიდან, ვინც პოლიტიკას ჩასჭიდებია. პოლიტიკას ბევრი ეჭიდება, მაგრამ კაცობრიობის საბედნიეროდ, უმეტესობა მათგანი პატიოსანი პოლიტიკოსის სახელს ატარებს. სამწუხაროდ, ამ ტიტულით ვერც წინა და ვერც დღევანდელი პრეზიდენტი ვერ დაიკვეხნის, ვინაიდან მათი ცრემლები ენასთან დაკავშირებით და არა მარტო ენასთან, თითქმის ყველაფერთან, ნიანგის ცრემლებია, მსხვერპლის ჭამისას, რომ გადმოსცვივა ხოლმე ამ არსებას.

საქართველოს საზოგადოებას ახსოვს სააკაშვილის თვალთაგან გადმოღვრილი სატელევიზიო ცრემლი. რამდენი ამერიკელი და ქართველი PR-ისტი აკეთებდა ამ ტელეეკრანულ ცრემლს?! გამოუვიდათ! საზოგადოების დიდმა ნაწილმა დაიჯერა და პატიების მთხოვნელ დამნაშავე პრეზიდენტს, დემონსტრაციის სასტიკად დამრბევს, ტელეკომპანია „იმედის“ ამაოხრებელს – შეუნდო.

ამერიკელმა PR-ისტებმა მშვენივრად აუღეს ალღო ქართულ აზროვნებას, და არჩევნები სააკაშვილის, ანუ ვაშინგტონის სასარგებლოდ გადაწყვიტეს – ნატოში შესვლის „სურვილის“ დაფიქსირებით. ვაშინგტონმა, სააკაშვილისგან ზუსტად ის ქოთანი გამოძერწა, რომელიც მას სურდა.

ამ ქოთანში ადუღებულ პოლიტიკას დიდი გავლენა უნდა მოეხდინა კავკასიაში. მას პრობლემები უნდა შეექმნა ყველა მიმართულებით, უპირველესად ჩრდილოეთის.

ქვეყანა იდეოლოგიურ-საბრძოლო საწვრთნელ ცენტრად უნდა გადაქცეულიყო . გადაიქცა კიდეც. ნაცურმა ხელისუფლებამ იმდენი „იჩალიჩა“, ვიდრე საქართველოს, ცუდი გაგებით, მართლაც არ გაუთქვა სახელი.

შევარდნაძიდან მოყოლებული, რუსული სპეცსამსახურები, სისტემატურად აცხადებდნენ პანკისში ბოევიკთა საწვრთნელი ბაზების არსებობის ამბავს. საზოგადოებას კარგად ახსოვს აფხაზეთის „გათავისუფლებისთვის“ ჩეჩენი ბოევიკების კოდორში გადაყვანა – შსს თანხლებით, დაჭრილი გელაევის მკურნალობა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში.

**სააკაშვილის დროს ამერიკულ-ქართული ურთიერთობები „დელიკატური“ გახდა. გახშირდა ტერორისტული, ვაჰაბიტური ჯგუფების თბილისში შეკრებები საქართველოს შსს ინიციატივით, რის შესახებაც დაიწერა როგორც ამერიკელი, ისე სხვა უცხოელი მკვლევარების მიერ. და ყოველივე ეს ხდებოდა ერთ მტკაველ საქართველოში, უფრო ზუსტად თბილისში - აშშ-ს საელჩოს მახვილი თვალის წინ.**

ბოლო დროს მედიაში არაერთხელ გაიჟღერა ამერიკული ჯეიმსთაუნის უნივერსიტეტის სახელმა, რომლის დაარსება ცნობილ მეცნიერს ზბიგნევ ბჟეზინსკის უკავშირდება. უნივერსიტეტთან აქტიურად თანამშრომლობენ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ხელმძღვანელები, ცნობილი ამერიკელი პოლიტიკოსები, ძირითადად ანტირუსულად განწყობილები.

**სწორედ ამ უნივერსიტეტის თაოსნობით ზედიზედ სამი კონფერენცია ჩატარდა თბილისში ჩერქეზთა გენოციდთან დაკავშირებით. შედეგიც გემახსოვრებათ - საქართველოს პარლამენტის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარებდა.**

რა მიიღო საქართველომ ამ აქტით? ცუდის მეტი არაფერი. ცუდში მეზობლების გაღიზიანებაა, უპირველესად რუსეთის, არანაკლებად, სომხეთის, რომელიც მთელს მსოფლიოს, მათ შორის მეზობელ ქვეყნებს, მოუწოდებს თურქეთის მიერ სომხების გენოციდის აღიარებას. ჯეიმსთაუნი არის ანტირუსული ტელეკომპანიის საქართველოში გახსნის ინიციატორი. ამ არხს ძირი უნდა გამოეთხარა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკისათვის ჩრდილოეთ კავკასიაში.

საქართველოში „კვალიფიკაციაამაღლებული“ ექსტრემისტები, „მდიდარ“ გამოცდილებას იყენებენ მსოფლიოს „ცხელ“ წერტილებში. ორმა მათგანმა – ძმებმა ცარნაევებმა ბოსტონის ტერაქტით გაიოქვეს სახელი.

აშშ-ს ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ყურად არ იღო რუსეთის გაფრთხილება ცარნაევების ტერორისტულ მიდრეკილებასთან დაკავშირებით. მომავალი ტერორისტები ხომ მომართული უნდა ყოფილიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ, ისე, როგორც ალ ყაიდა, თალიბანი?!

**ამერიკაში მყოფ სააკაშვილს ელდა ეცა ბიძინა ივანიშვილის განცხადების გამო, რომელიც საქართველოში ტერორისტთა სავარაუდო მომზადებას ეხებოდა. ეს ნათქვამი საქართველოს სახელს აზიანებსო – ბრძანა მან. სააკაშვილის ბოლოდროინდელი განცხადებები საქართველოს სახელის გადარჩენის თაობაზე, საკუთარი თავის გადარჩენას უფრო ჰგავს, ვიდრე ქვეყნის.**

**ჰამლეტ ჟიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ მოწმე ბრალს სდებს

# ახალაიამ იარაღი ჩამარტყა, კალანდაძე 20 წუთის განმავლობაში მცემდა

**ბაჩო ახალაიასა და გიგი კალანდაძის სისხლის სამართლის საქმეში, ერთ-ერთი მთავარი მოწმე ზვიად აბესაძეა, რომელსაც 2011 წლის 13 სექტემბერს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს. მან, როგორც გამოძიებას, ასევე სასამართლოს მისცა ჩვენება, როგორ გაუსწორდნენ მას უმაღლესი თანამდებობის პირები ფიზიკურად. ზვიად აბესაძე პროკურატურამ დაზარალებულად უკვე ცნო. ახალაიას სასამართლო პროცესზე ზვიად აბესაძემ ბაჩო ახალაიას, გიგი კალანდაძის, გაგა მკურნალიძის მიმართ წაყენებული ბრალდების ერთ-ერთი ეპიზოდი გაიხსენა.**

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ზვიად აბესაძემ თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია გოგა ონიანის მეშვეობით 2006 წელს გაიცნო, რის შემდეგაც ურთიერთობა ნათესაურ კავშირში გადაიზარდა. კერძოდ, აბესაძის განცხადებით, ბაჩო ახალაია მისი შვილის ნათლიაა. ამის მიუხედავად, დანათესავების შემდეგ, დაახლოებით, 4 წლის განმავლობაში, მათი ურთიერთობა ნელ-ნელა შეწყდა. ამის მიზეზი, მისივე განცხადებით გახდა ის, რომ აბესაძე ოპოზიციისკენ გადაიხარა.

როგორც აბესაძე ამბობს, 2011 წლის 13 სექტემბერს მის მობილურ ტელეფონზე შემოვიდა ზარი. როდესაც მან კითხა, ვინ რეკავსო, პასუხად ყურმილიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიიღო: **„მამაშენი ვარ და დედაშენის ... მოვდივარო“. ამის შემდეგ მე მესიჯად მივწერე მას და გინებითვე ვუპასუხე, თუმცა, არ ვიცოდი ვის ვწერდი. ამის შემდეგ გამოვრთე ტელეფონი, დაახლოებით ნახევარი საათში ჩემს კარზე ბრახუნი გაისმა, კარი გავაღე, გრიგოლ ბაკურაძე იყო, მითხრა, ბაჩო ახალაია რესტორანში გიბარებსო,“** — ამბობს აბესაძე.

აბესაძე ბაკურაძესთან ერთად მივიდა რესტორან „მასპინძელოში“. როგორც თავად ყვება, რესტორანში დაცვამ შეაცილა, სადაც მას ბაჩო ახალაია და მისთვის უცნობი პირები დახვდნენ.

**„მივესალმე და ხელი გაუწოდე ბაჩოს, მაგრამ ახალაიამ არც ხელი ჩამომართვა და არც მომესალმა. მაგიდასთან დავსხედით მე და ბაკურაძე.**

**ბაჩომ მითხრა, ვიცნობდი თუ არა გიგი კალანდაძეს, რომელიც ომის გმირია. მე ვუთხარი, რომ არაფერი ვიცოდი მის შესახებ. მან მითხრა, ჩემს გვერდით რომ კაცია, ის არის, ვისაც ტელეფონით აგინე და ახლა გვერდით მიზისო. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ინციდენტი“,** — განაცხადა ზვიად აბესაძემ.

როგორც ზვიად აბესაძე ამბობს, ამის შემდეგ მოულოდნელად გენერალმა გიგი კალანდაძემ მას თავში სალათიდან ამოღებული კოვზი ჩაარტყა, შემდეგ კი, როგორც დაზარალებული ყვება, დაცვამ მას ხელები გადაუგრიხა და ოცი წუთის განმავლობაში სცემდნენ. მისივე თქმით, მას ურტყამდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ჭაკუა, დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ დაეჩოქა და კალანდაძისთვის ბოდიში მოეხადა.

**„პერიოდულად მცემდნენ, ერთ-ერთ მომენტში, „ბაჩო ახალაიამ დაცვას გამოართვა იარაღი და თავში ჩამარტყა. დიდი ხნის განმავლობაში მიდიოდა ჩემი ცემა. ცოტა ხანში ადგილზე მივიდნენ დავით ჭაკუა და გაგა მკურნალიძე. ბაჩომ მკითხა, ხომ არ მქონდა სურვილი ჩემი „იქს-ნ“ მეჩუქებინა ჭაკუასთვის, ანუ სასჯელაღსრულების დეპარტამენტისთვის,“** — ამბობს დაზარალებული აბესაძე.

აბესაძე ახალაიას მოთხოვნას დასთანხმდა. მაგიდასთან მსხდომი მაღალჩინოსნების თანდასწრებით, მან მეუღლეს დაურეკა, ერთი მეგობარი მოვა სახლში და მანქანა გამოატანეო. მისივე თქმით, მასთან სახლში გაგა მკურნალიძე წავიდა და გასაღები 15 წუთში მოიტანა.

**„პარალელურად, ჩემს მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფა გრძელდებოდა, გრიგოლ ბაკურაძემ ერთ მომენტში დამიცვა, თუმცა, ბაჩო ახალაიამ ბაკურაძე სცემა და გარეთ გაუშვა. დაჟინებით მთხოვდნენ, რომ დამეჩოქა და გიგი კალანდაძისთვის ბოდიში მომეხადა. პარალელურად მცემდნენ. შემდეგ ბაჩო ახალაიამ გიგი კალანდაძეს მოუწოდა, გაჩერებულიყო. კალანდაძემ არ დაუჯერა, რაზეც მცირე შეკამათება მოუვიდათ მას და ახალაიას. „შემდეგ გიგი კალანდაძემ გასცა ბრძანება, რომ წავეყვანე და დავემწყვდიე“,** — განაცხადა ზვიად აბესაძემ.

მისი თქმით, კალანდაძემ ეს დავალება გაგა მკურნალიძეს მისცა, იგი რესტორნიდან გაიყვანეს, სხვისი მაისური ჩააცვეს, სამარშრუტო ტაქსის ფორმის ავტომობილში ჩასვეს, შემდეგ ვერცხლისფერ „მერსედესში“ გადასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

**„თვალები დასიებული მქონდა, გზაში მანქანაში მყოფ ბიჭებს ვთხოვდი, წყალი მომეცითმეთქი. წყალი მომაწოდეს, თვალები ამოვიბანე და გავარკვიე, რომ გლდანისკენ მივყავდი, შემდეგ მუხიანისკენ გადაუხვიეს. ერთ-ერთ კორპუსთან, სადარბაზოსთან ახლოს გააჩერეს მანქანა.**

**შემიყვანეს პირველ სართულზე, ჩემთან ერთად დარჩა ორი სპეცრაზმელი, ისინი, ვინც მანქანაში გვერდით მესხდნენ. ტელეფონი ჩამომართვეს. იქ ყოფნის პერიოდში ვიღაც უცნობი რეკავდა და ინფორმაციას კითხულობდა. მეორე დღეს მოვიდა გაგა მკურნალიძე, მალამოები მომიტანა, რომ სახეზე წამესვა და დაზიანებები მომერჩინა.**

**ამან მაგრძნობინა, რომ ჩემს მოკვლას არ აპირებდნენ. მკურნალიძის მოსვლიდან ორ საათში ზარი გაისმა. შემდეგ წამიყვანეს ზუსტად იმ ადგილას, საიდანაც მუხიანში გადამიყვანეს. მითხრეს, რომ გაგიშვათ, რას იტყვიო. ვუთხარი, ვიტყვი, რომ ავარიაში მოვყევი-მეთქი. დამიბრუნეს ჩემი მანქანა და სახლში წავედი,“** — განაცხადა ზვიად აბესაძემ.

აღსანიშნავია, რომ დაზარალებული აბესაძე, რომელმაც სასამართლოს ჩვენება უკვე მისცა, ბრალდებულთა ახლობლების თავდასხმის მსხვერპლი კიდევ ერთხელ გახდა. მას სასამართლო პროცესზე პროკურატურის „სტუდენიორი“ უწოდეს. სასამართლო პროცესზე, რომელიც 7 მაისს განახლდება, რამდენიმე მოწმის დაკითხვაა დაგეგმილი, რომლებიც აბესაძის მსგავსად, თავდაცვის მინისტრის ბაჩო ახალაიასა და გენერალ გიგი კალანდაძის მხრიდან ძალადობის მსხვერპლები გახდნენ.

აღსანიშნავია, რომ გიგი კალანდაძეს გარკვეული ურთიერთობები ჰქონდა ყოფილ მინისტრთან ბაჩო ახალაიასთან, სწორედ მისი ინიციატივით მოხდა გენერლის კარიერული წინსვლა და დაწინაურება როგორც წოდებით, ასევე შტაბის უფროსად დანიშვნა. ის, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მაქსიმალურად ცდილობდნენ კალანდაძისთვის მაქსიმალური პირობების შექმნას, ეს იმ პრემიებიდანაც დასტურდება, რაც გენერალ კალანდაძეს აქვს მიღებული.

ა/ო „საქართველოს განვითარების კვლევის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი თეონა აქუბარდია ამბობს, რომ მუდმივად არსებობდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ახალაია და კალანდაძე ძალადობდნენ სამხედრო მოსამსახურეებზე, თუმცა, ამის შესახებ ხმამაღლა ვერ საუბრობდნენ, რადგანაც სამხედროებზე ტოტალური თვალთვალი მიმდინარეობდა.

**„მასობრივად ისმინებოდა სამხედროების ტელეფონები და გარდა ამისა, იყო შიში კონკრეტულად ბაჩო ახალაიასი და გიგი კალანდაძისა. ამ მოწმის ჩვენება ცხადყოფს, რომ კალანდაძის მხრიდან იყო ძალადობის ფაქტი. ძალიან მძიმეა, როდესაც გენერალური შტაბის უფროსს უყენებენ ასეთ დანაშაულს,“** — აცხადებს თეონა აქუბარდია.

მისივე თქმით, თუ ეს ფაქტი დადასტურდა, მაქიმალურად უნდა დაისაჯონ ის ადამიანები, რათა არავის არ გაუჩნდეს მსგავსი მოქმედების სურვილი.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე for.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ საქართველის შეიარაღებული ძალების მთავარი პრობლემა ის არის, რომ ოფიცრებს შორის არ არსებობს ურთიერთობის ეთიკური ნორმები.

**„ომის გმირი ხარ თუ არ ხარ გმირი, ადამიანის უფლების დარღვევა არანორალურ მოვლენად ითვლება შეიარაღებულ ძალებში, არა მხოლოდ ევროპაში, არამედ ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში და არა მარტო ცივილიზებულში.**

**კალანდაძის მკაცრი დამოკიდებულება, რომელიც არაა მოქცეული ეთიკის და ადამიანობის ფარგლებში, რა თქმა უნდა, არანორმალურია. ჩემთვის ახლა მთავარია შეიარაღებული ძალები და არ მაინტერესებს კალანდაძე რას აკეთებდა, კალანდაძე არის ამ სისტემის ნაყოფი. ეს სისტემა გვაქვს ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან და ამ მხრივ არაფერი არ შეცვლილა.**

**ირაკლი ალასანია, მისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, შეურაცხოფას არ მიაყენებს ჯარისკაცს და ოფიცერს, მაგრამ სისტემურად არაფერი არ შეცვლილა. ჩვენ თუ სისტემას არ შევცვლით, კალანდაძე იქნება ეს თუ პეტრიაშვილი, ასეთი ფიგურა აუცილებლად გამოჩნდება,“** — აცხადებს გიორგი თავდგირიძე.

**თამთა ქარჩავა**

◎ ალიან-ჩალიანი

## არ არსებობს მტკიცების საფუძველი, რომ საქართველოში ჩრდილოკავკასიელი ტერორისტები ემზადებოდნენ

**საქართველოს მთავრობა და პრემიერ-მინისტრი ყოველთვის გადადგამს ისეთ ნაბიჯებს, რომელიც ქვეყნის ეროვნულ ინტერესებში შედის, — ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გადაცემა „პოზიციაში“ განაცხადა, რითაც ის პრემიერ-მინისტრის მიერ რამდენიმე დღის წინათ გაკეთებულ იმ განცხადებას გამოეხმაურა, რომელშიც ბიძინა ივანიშვილმა არ გამორიცხა, რომ საქართველოში ჩრდილოკავკასიელი ტერორისტები გარკვეულ მომზადებას გადიოდნენ.**

**ამასთან, ალასანიას განმარტებით, მის ხელთ არსებული სადაზვერო და ოპერატიულ ინფორმაციებზე დაყრდნობით შეუძლია თქვას, რომ აღნიშნულის მტკიცების საფუძველი ამ ეტაპზე არ არსებობს.**

**გამოძიება, რომელიც, იმედი მაქვს, ობიექტურ ჭეშმარიტებას დაადგენს, არავითარ შეთხვევში არ იქნება გამოყენებული ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, სახალხო დამცველი იქნება ეს თუ სხვა, ვარაუდების გამოთქმის საფუძველი აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამის მტკიცების საფუძველი არ არსებობს, — აღნიშნა ალასანიამ.**

## ნაცაქციის მონაწილეებს დავითაშვილი დაუპირისპირდა

**გუშინ ქუთაისში პარლამენტის დატოვების მოთხოვნით, პარლამენტის შენობასთან აქცია გაიმართა, რომელიც სოციალურ ქსელში დაიგეგმა.**

**აქციის მონაწილეები პარლამენტის ქუთაისში დატოვებას მოითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი განცხადებით, აქცია პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.**

**აქციის მსვლელობისას მონაწილეებსა და საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერ კობა დავითაშვილს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა.**

**ინციდენტი მოჰყვა აქციის მონაწილეების მიმართ კობა დავითაშვილის რეპლიკას — „ვაი თქვენს პატრონს, თქვენ ნაციონალებო“. აქციის მონაწილეებმა დავითაშვილის რეპლიკა გააპროტესტეს და მას პრორუსული პოლიტიკოსი უწოდეს. ამის შემდეგ კობა დავითაშვილმა აქციის მონაწილეებს განუცხადა, რომ მართლმსაჯულება აღსრულდება ყველას მიმართ და მით უმეტეს „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. აქციის მონაწილეების ნაწილმა დაადასტურეს, რომ ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან.**

**ინტერპრესი**

◎ აქცია

# ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ

**გუშინ ქართველ პატრიოტთა არასამთავრობო ორგანიზაცია „ეროვნულმა ფრონტმა“ გამართა აქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი ოფისის წინ და დაგმო 19 აპრილს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების მიერ გაკეთებული განცხადებები საქართველოში ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყების შესახებ, ეროვნული ფრონტი მიმართავს ხელისუფლებას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერებს დააკისროს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.**

„ეროვნული ფრონტის“ აზრით, 9 წლის მანძილზე გლობალისტებისა და ტრანსნაციონალური საფინანსო ინსტიტუტების მიერ ხელდასხმული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ანტიქართულმა და ანტიეროვნულმა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა თუ კულტურულ-რელიგიურმა საქმიანობამ ქართველი ერი ნაციონალური თვითმყოფადობის და თავისთავადობის დაკარგვის, საკუთარ სამშობლოში სტუმრად და ხიზნად გადაქცევის საფრთხის წინაშე დააყენა.

**„ქვეყანაში დარღვეულია ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, კონსტიტუციური უფლებები, უმოწყალოდ სხვისდება ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეთა მანძილზე სისხლით დაცული მიწა-წყალი და ბუნებრივი რესურსები, მკვიდრდება ანტიქართული და ანტიქრისტიანული ფასეულობები, წესად იქცა სოდომ-გომორული ცოდვის და გაუკულმართების წახალისება და მხარდაჭერა, განადგურდა და დაიცალა ქართული სოფელი, იცვლება ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა მთლიან მოსახლეობაში ქართული ეთნოსის ხვედრითი წილის შემცირების ხარჯზე, აღდგა ე.წ. სამხრეთ ოსეთის სტატუსი და შეიქმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, 2008 წლის 8-12 აგვისტოს კატასტროფის შედეგად გაფორმდა მედვედევ-სარკოზის კაპიტულანტური ხელშეკრულება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივებს, ქვეყანაში კატასტროფულ მასშტაბებს მიაღწია ნარკოდანაშაულმა და ნარკომომხმარებელთა რაოდენობამ, ეკონომიკის და რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს დაეპატრონნენ ყოფილი მმართველი რეჟიმის წარმომადგენლები, რასაც მოჰყვა კარტელური გარიგებები და ამა თუ იმ ბაზრის მონოპოლიზაცია. ქვეყანას დაუგროვდა 14 მილიარდ დოლარამდე საგარეო ვალი“,** — განაცხადა „ეროვნული ფრონტის“ წარმომადგენელმა მიქელაძემ.

მისივე თქმით, 26 მაისის აქციის მონაწილეთა ბარბაროსული დარბევა პირდაპირ შეიძლება შეფასდეს, როგორც ქართველი ერის პროტესტისა და თავისუფლების ჩახშობის მიზნით განხორციელებული უსასტიკესი და უსაზარლესი ეგზეკუცია.

**„ეროვნულ ფრონტს“ მიაჩნია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებსა და იდეოლოგებს არავითარი მორალური უფლება არ აქვთ, ისაუბრონ ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყების შესახებ, სოლო სახელმწიფოსა და ერის წინაშე ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულში მხილებულთ უნდა დაეკისროთ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“.**

**ნატა ნიბლაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**მაგთი – კავშირი თქვენს სამყაროსთან**

# მაგთიკომმა სახელმწიფო გაერთიანებული ტენდერი ხელმეორედ მოიგო

**სამთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ სამთავრობო სტრუქტურებისთვის ფიქსური სატელეფონო მომსახურების გამოცხადებულ გაერთიანებულ ტენდერში მაგთიკომმა ხელმეორედ გაიმარჯვა. ამასთან დაკავშირებით ცენტრალურ ოფისში პრესკონფერენცია გაიმართა. როგორც მარკეტინგის დეპარტამენტის დირექტორმა ირაკლი ლობჟანიძემ აღნიშნა, მოგება განაპირობა კომპანიისგან შეთავაზებულმა ყველაზე დაბალმა ტარიფებმა, მაღალმა ხარისხმა, ფართო დაფარვამ და მოთხოვნილი სერვისების სრულად უზრუნველყოფამ.**

ტენდერის შესყიდვის ობიექტს ფიქსური სატელეფონო მომსახურება წარმოადგენდა, შემსყიდველი კი გახლდათ ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემავალი ყველა ორგანიზაცია. ამჟამად ტენდერი 9-თვიანი ვადით იყო გამოცხადებული და გამარჯვებული კომპანია სამთავრობო ქსელს, მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების თანამშრომლებს თავიანთი ოჯახისწევრებიანად 2014 წლის იანვრის ჩათვლით მოემსახურება. სამთავრობო ქსელისთვის შექმნილია კორპორაციული მართვის განყოფილება, რომელიც მაგთიკომისვე თანამშრომლებით დაკომპლექტდა.

**„ჩვენ პირველი ტენდერით 150 ათას აბონენტზე მეტს მოვემსახურეთ. ახალი პირობებით სამთავრობო ქსელში გაერთიანებულ ყველა სამინისტროს, უწყების, სააგენტოს, ორგანიზაციის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს საშუალება ეძლევათ, სრულიად უფასოდ ისაუბრონ ერთმანეთში. მოვემსახურებით ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემავალ აბსოლუტურად ყველა ორგანიზაციას“,** – განაცხადა ნიკოლოზ დავითაშვილმა, რომელიც კორპორატიული რეალიზაციისა და მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტს ხელმძღვანელობს.

რაც შეეხება ტენდერს, ის გაიმართა ელექტრონულად, ღიად, ამდენად ვაჭრობის პირობები თუ კონკურენტების დამარცხების მიზეზები არავისთვის არის დაფარული, ინფორმაცია საჯაროა. ტენდერში ისევ ორი კომპანია მონაწილეობდა. ქსელსგარე ზარების ტარიფი ვაჭრობის საგანს, ფაქტობრივად, აღარ წარმოადგენდა, რადგან პირველი ტენდერის შემდეგ მაგთიკომმა კონკურენტს არჩევანი არ დაუტოვა. ამჟამად მოგების ბედი ინტერნეტპაკეტებმა გადაწყვიტეს. მაგთიკომმა დაამტკიცა, რომ ამ მიმართულებითაც ჯაბნის მეტოქეს.

**ირაკლი ლობჟანიძე:** „ეს არის მნიშვნელოვანი გამარჯვება. ჩვენს კონკურენტებს ვაჯობეთ დაფარვის არეალით, კავშირის მაღალი ხარისხით, უსადენო სწრაფი ინტერნეტით, უახლესი ტექნოლოგიებითა და, რაც მთავარია, დაბალი ფასით. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ გვაქვს საუკეთესო პოტენციალი, აბონენტებს მოვემსახუროთ ფაქტობრივად ნულოვანი ტარიფით. ფინანსური კუთხით შეიძლება უფრო მომგებიან პოზიციაში იყოს წაგებული კომპანია, რადგან მას არც ურთიერთჩართვის ტარიფის გამო მოუწევს დაზარალება და არც დამატებითი ხარჯები ექნება ქსელის მომსახურების თვალსაზრისით. მაგთიკომისთვის ამ ტენდერში გამარჯვება პრესტიჟის საკითხია. ჩვენ ვართ ლიდერი კომპანია, მოკლევადიან ფინანსურ კეთილდღეობაზე არ ვზრუნავთ, გრძელვადიან პერსპექტივაში კი ვფიქრობთ, რომ ეს ხელს შეუწყობს კომპანიის განვითარებას“.

ტენდერის მოგების პირველი შედეგები უკვე სახეზეა: ამ 3 თვის განმავლობაში მაგთიკომმა კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერის პოზიციები საკომუნიკაციო ბაზარზე გასული წლის დეკემბერთან შედარებით. მაგთიკომის ბაზრის წილი 4%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მაგთიკომის ქსელში ჯამში 160 ათასი აბონენტია დაპორტირებული, რაც უდიდესი მაჩვენებელია სხვა ოპერატორებთან შედარებით. ხაზგასასმელია ისიც, რომ ამ ტენდერის მეშვეობით სახელმწიფომ ამ მიმართულებით ხარჯების მნიშვნელოვანი დანაზოგი გააკეთა.

კომპანიაში კარგად აცნობიერებენ, თუ რამდენად დიდი პასუხისმგებლობა აიღეს როგორც სახელმწიფოს, ასევე ძველი და ახალი აბონენტების წინაშე და რამდენად მნიშვნელოვანია შეინარჩუნონ მომსახურების მაგთისეული ხარისხი. კავშირგაბმულობის სფერო ისედაც სწრაფი ცვლილებებითა და უამრავი სიახლით ხასიათდება. მაგთიკომი არ აპირებს დათმოს ლიდერის პოზიციები არც სიახლეების დანერგვის განხრით.

**ნიკოლოზ დავითაშვილი:** – აბონენტების მატების შედეგად, ძველი მომხმარებლები ნამდვილად არ დაზარალდებიან ხარისხის ვარდნით. მობილური კავშირგაბმულობა არ არის ფიქსირებული კავშირი, რა თქმა უნდა, ქსელი მუდმივად საჭიროებს გაფართოებას, მოდერნიზაციას. ყველას ახსოვს, რომ 15 წლის წინათ ჩვენ დავიწყეთ GSM, შემდეგ ჩაირთო GPRS, დღეს HSPA+ ტექნოლოგიაა, ანუ ქსელის მოდერნიზაცია ძალიან სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს. შესაბამისად, შეიძლება სადღაც ლოკალურად, ძალიან მცირე დროით აღინიშნებოდეს რაღაც პატარა ხარვეზები, რომელიც დაკავშირებულია ზოგადად, ქსელის განვითარებასთან, თუმცა, ხარისხი, რა თქმა უნდა, არ გაუარესდება. უფრო მეტიც, მინდა, მოგახსენოთ, რომ უახლოესი 2 წლის განმავლობაში „მაგთიკომი“ 100 მილიონი ლარის ინვესტიციის განხორციელებას აპირებს ქსელის გაფართოებისთვის, ტექნოლოგიური მოდერნიზებისთვის და ასე შემდეგ. შესაბამისად, ხარისხის კუთხით მაგთიკომი როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იქნება.

**ნია ფიფია**

**სურსათის უვნებლობა**

# არც მშივრები რომ არ დავიხოცოთ და ჯანმრთელიც დავრჩეთ

**ამ ბოლო დროს ჯანმრთელობისთვის საშიში ბაქტერიებით დაბინძურების რამდენიმე გახმაურებული ფაქტი, მით უმეტეს ზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებულ ტემპერატურის მატების გათვალისწინებით, სულ უფრო მეტი შეშფოთების მიზეზს იძლევა.**

ზამთარშიც და ადრე გაზაფხულზეც ქართულ მასმედიაში, სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების საიტებზე ზოგიერთი მწარმოებლის მიერ გამოშვებულ პროდუქციაში ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ბაქტერიის არსებობის, პროდუქციაში ცხოველთა ბეწვის აღმოჩენისა და ა.შ. არაერთი ფაქტის შესახებ ცნობები გაჩნდა. ეს თემა, ბუნებრივია, ჩვენმა გაზეთმაც არაერთხელ გააშუქა, რა დროსაც ჩვენ, ისევე, როგორც მედიის სხვა საშუალებებმა, ყურადღება მივაქციეთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სააგენტოს სასურსათო პროდუქციის დამზადების, წარმოების და მომზადების პროცესში დამნაშავე კომპანიების თუ ინდმეწარმეების საჯაროდ დასახელების უფლება არა აქვს, ასევე შეზღუდული აქვს მათი არაგეგმიური მონიტორინგისა და, შესაბამისად, სათანადო სანქციების მიღების შესაძლებლობა, რაც მის მუშაობას ერთობ არაეფექტიანს ხდის.

გასული კვირის მიწურულს სურსათის უვნებლობის დარღვევის კიდევ რამდენიმე აღმაშფოთებელი ფაქტი გახდა ცნობილი, რამაც მოსახლეობაში საკმაოდ ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. კვლავ ჯანმრთელობისთვის საშიში ბაქტერიებით დაბინძურებული აღმოჩნდა ფირმა „ნიკორას“ წარმოების ნახევარფაბრიკატების პროდუქცია, თუმცა კი, მისი წარმომადგენლის განცხადებით, სურსათის დაბინძურება უკვე მისი წარმოების პროცესის დასრულების, ტრანსპორტირებისას, ანდა შენახვის დროს უნდა მომხდარიყო. ერთ-ერთი ტელეარხით გადაცემული სიუჟეტიდან კი გაირკვა, რომ სხვა მწარმოებლის მიერ გამოშვებულ სასურსათო საქონელში... ცხოველის ბეწვი აღმოჩნდა (?!), თავად პროდუქცია კი საანალიზოდ ლაბორატორიას გადაეგზავნა, რისი შედეგები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

სურსათისა და მოსახლეობისთვის შეთავაზებული საკვების წარმოებისას სანიტარიული ნორმების დაუცველობა და ამასთან დაკავშირებით მაკონტროლებელ ორგანოთა გარკვეული შეზღუდვების შედეგად (შემოწმება წელიწადში ერთხელ, მაქსიმალური ჯარიმა 1000 ლარი და ა.შ.), სურსათის უვნებლობის სამსახურის მუშაობას, ფაქტობრივად, პრაქტიკული შედეგი არ მოყვება იმ მარტივი მიზეზით, რომ საზოგადოებრივი კვების უმრავლესობა ობიექტის მეპატრონეებს, სადაც კი წარმოების, შენახვის, მიწოდების სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებია დარღვეული, არსებული ვითარების გამოსასწორებლად საჭირო სამუშაოთა ჩატარებას და, შესაბამისად, გარკვეული ოდენობის ხარჯის გაღებას წელიწადში ერთხელ მიზერული ათასლარიანი ჯარიმის გადახდა ურჩევნიათ. მომხმარებლის ჯანმრთელობის გაფრთხილება კი ასეთ „ვაი-დადმპურებლებს“ არაფერში ენაღვლებათ, მათ „დამსჯელებს“ კი „ეშვები“ „დაძრობილი“ აქვთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავის დროზე სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელთან ვერიკო გულუასთან გვქონდა საუბარი, რომელმაც აღნიშნა, რომ სააგენტოს სპეციალისტები სხვა უწყებებიდან, კოლეგებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლებთან ერთად შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად სურსათის, საკვების უვნებლობისა და მცენარეთა დაცვის ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე მუშაობდნენ. მისი ცნობით, ამჟამად „სურსათის, ცხოველთა საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ შესატან ცვლილებებთან დაკავშირებული მუშაობა დასრულდა და კანონპროექტის უწყებათშორისი განხილვები მიმდინარეობს, რომელთა დასრულების შემდეგ იგი განსახილველად პარლამენტს გადაეგზავნება.

იხ. 9 გვ.

**ალიან-ჩალიანი**

### ოსურმა მხარემ ქართველი მწყემსი გაათავისუფლა

**შს სამინისტროს ინფორმაციით, ანალიტიკური დეპარტამენტისა და შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინტენსიური მოლაპარაკების შედეგად უკანონოდ დაკავებული გიორგი დოთიაშვილი გათავისუფლდა.**

**22 აპრილს რუსმა სამხედროებმა, ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის „უკანონო კვეთის“ ბრალდებით, 1938 წელს დაბადებული მწყემსი გიორგი (ჟორა) დოთიაშვილი გორის რაიონის სოფელ კირბალში დააკავეს. ოსური მილიციის თანამშრომლებმა დოთიაშვილი ჯერ ღრომში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ ცხინვალის იზოლატორში მოათავსეს.**

### ოსური მხარე დაკავებულ ქართველებს ჯარიმის სანაცვლოდ ათავისუფლებს

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ცხინვალთან ახლომდებარე სოფელ მეჯვრისხევში მცხოვრებლებმა აცნობეს. მათივე ინფორმაციით, ფულად ჯარიმებს დაკავებული ქართველების ოჯახის წევრები ან ცხინვალში მცხოვრები მათი ნათესავები იხდიან. ჯარიმის რაოდენობა დაახლოებით 2 000 რუსულ რუბლს შეადგენს. „ინტერპრესნიუსის“ წყარო ირწმუნება, რომ თანხა ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლების ბიუჯეტში ირიცხება.**

**ამასთან, აპრილის თვეში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ 10-მდე მოქალაქე გაათავისუფლა. მათი მიმართ წაყენებული ბრალდება იყო „საზღვრის უკანონო გადაკვეთა“.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ბორიტი იარალი

# ხელისუფლებას უკანონო თვალთვალით მოპოვებული არქივის განადგურებას ურჩევენ

**უკანონო თვალთვალის ამსახველი „მდიდარი“ საარქივო მასალა ნაციონალების ხელში კვლავაც ბორიტი იარაღია. არქივი ასახავს ცალკეული პოლიტიკოსების, ბიზნესმენების, სექსუალური უმცირესობის ურთიერთობებს, რომლებსაც დღეს კერძო ადამიანები და სამართალდამცავი ორგანოები განკარგავენ. ამდენად, მათი ჩამორთმევა და დაუყოვნებლივი განადგურება საშური საქმეა და სამოქალაქო საზოგადოების ნაწილიც ამას მოითხოვს. ამ სურვილს ისიც აძლიერებს, რომ, რაც უნდა დემოკრატიული პათოსით იყოს გამსჭვალული ხელისუფლება, მას ხელი მაინც წაუცდება ასეთ მასალებზე.**

შსს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აცხადებს, რომ სამინისტროში უკანონო მოსმენები დასრულებულია. ამის გამო მათ კუდ-ის ორი თანამშრომელი პასუხისგებაშიც მისცეს. სამინისტროში მასობრივად ხდებოდა ტელეფონების და კომპიუტერების დავირუსება და ამის მსხვერპლი თავად მინისტრიც აღმოჩნდა. კუდ-ში სპეციალური ვირუსები იქმნებოდა და სხვადასხვა კომპიუტერში იგზავნებოდა. მეტიც, კუდ-ს უკანონო მოსმენებისთვის ცალკე დეპარტამენტიც კი ჰქონდა შექმნილი, რომელიც ამჟამად გაუქმებულია.

უკვე ცნობილია, რომ შს სამინისტრო ამ არქივის განადგურებას აპირებს, თუმცა, ეს მას შემდეგ მოხდება, რაც ამ საქმეებზე გამოძიება დასრულდება. მანამდე კი გაირკვევა, ამ ეტაპზე რომელი მასალის განადგურება შეიძლება და რომელი უნდა განადგურდეს მოგვიანებით.

თავის მხრივ, პრემიერი აცხადებს, რომ, სინამდვილეში, ნაციონალები საზოგადოების ერთ პროცენტსაც არ უსმენდნენ, მაგრამ ისეთ ხმებს შეგნებულად, ხალხის დასაშინებლად ავრცელებდნენ, თითქოს, ყველას უსმენდნენ.

ამ ტიპის არქივის განადგურების მოთხოვნა ერთია, მაგრამ რეალურად ამის განხორციელება გულუბრყვილობად ხომ არ ჟღერს? გადასცემენ კი კერძო პირები დღევანდელ შს სამინისტროს ამ „უნიკალურ მასალებს“, რომელიც მომავალში მათთვის ადამიანების დაშანტაჟებისა და ფულის გამოძალვის შესანიშნავი საშუალება შეიძლება გახდეს?!

ამ საკითხის შესახებ **For.ge** ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს ესაუბრა.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა** მიიჩნევს, რომ ოპოზიციისა და სამოქალაქო წარმომადგენლების თანდასწრებით, ყველაფერი გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს და ეს მასალები განადგურდეს.

კახა კუკავას თქმით, თუ ხელისუფლება მოინდომებს, შესაძლებელია, რომ ამ კერძო პირებმა მიიტანონ კიდეც შს სამინისტროში ეს მასალები. ხოლო, თუკი ეს ადამიანები ამ მასალების გადამალვას შეეცდებიან, ხელისუფლებას აქვს ოპერატიული სამსახურის გამოძიების მეთოდები და მონდომების შემთხვევაში, ამის ორგანიზება რთული არ არის.

**„შეიძლება, ამ მასალების 100%-ით განადგურება ვერ მოხერხდეს, მაგრამ დიდი პროცენტით განადგურება შესაძლებელია. მესმის, რომ ახალ ხელისუფლებაშიც არიან ჩინოვნიკები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ასეთი მდიდარი მასალის განადგურება არ შეიძლება, მაგრამ ჩემს რჩევას თუ მიიღებენ, მაინც აჯობებს, გაანადგურონ, რადგან ეს არის თამაშის წესები. თავის დროზე ჩვენ ვნახეთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ სხვისთვის უნდოდა, ცოცხები გაეკეთებინა, ამ დროს კი იმ ცოცხებზე თვითონ წამოეგნენ. ამიტომ, ნუ შექმნიან ისეთ თამაშის წესებს, რაც შემდგომში წინააღმდეგ შემოუბრუნდებათ“,** — აცხადებს კახა კუკავა და ადასტურებს, რომ უკანონო თვალთვალის არქივი მართლაც მდიდარია და ეს არა მარტო ჰომოსექსუალებს, არამედ ჩვეულებრივ ჰეტეროსექსუალებსაც ეხება.

მეტიც, ყველას უთვალთვალებდნენ, ვინც კი გარკვეული ინტერესის საგანი იყო, მათ შორის, პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, ბიზნესმენებს, არტისტებს და სხვა.

სამხედრო ექსპერტ **გიორგი თავდგირიძის** აზრით, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება თუ გვსურს, სამხედრო დიქტატურის ელემენტები უნდა მოვსპოთ და უკანონო თვალთვალი უნდა აიკრძალოს. მართალია, როდესაც არსებობს გარკვეული სიგნალი, შეიძლება ადამიანზე, მის მიმოწერაზე ან მის მოქმედებაზე განხორციელდეს თვალთვალი და ეს ჩვეულებრივი ოპერატიული ღონისძიებაა და აუცილებელიცაა, მაგრამ უკანონო თვალთვალი კანონმდებლობით აკრძალული და გონივრულად მოწესრიგებული უნდა იყოს. მით უფრო, იმ პირობებში, როცა აპარატურა არც ისე ძვირი ღირს და ხელმისაწვდომია. დილიდან დაწყებული, სამკერდე ნიშნებით დამთავრებული, მათი დამონტაჟება პრობლემა არ არის, მათგან დაცვა კი გართულებულია, რადგან ხშირად, ადამიანი არ აქცევს ყურადღებას უამრავ ელექტრონულ ხელსაწყოს, სადაც შეიძლება ჩამონტაჟებული იყოს ეს აპარატურა.

გიორგი თავდგირიძის თქმით, არქივის განადგურება აუცილებელია, მაგრამ მისი სრულყოფილი განადგურდება რთული თემაა. მით უფრო, რომ ჩვენ არ ვიცით, რა მოცულობის ინფორმაციაზეა საუბარი, არავის დაუთვლია ეს ინფორმაცია და ვერაფრით ვიქნებით დარწმუნებული, სრულად განადგურდა თუ არა ეს მასალები. ამდენად, მაინც დარჩება „კუდები“. ამიტომ ყველაზე მარტივია სპეციალური კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც ასეთი ტიპის ჩანაწერების გამოყენებას აკრძალავს.

ექსპერტს ისიც აეჭვებს, რომ, თუ რომელიმე უწყების ამარა დარჩა საზოგადოება, შესაძლებელია, ამ უწყებაში მოკალათებულმა ცალკეულმა პირება შეძლონ შემდგომი სარგებლობისთვის ამ მასალების დატაცება-მითვისება.

**„ჩვენ რთულ რეგიონში ვიმყოფებით. გარკვეულწილად, ოპერატიული ღონისძიებები მოითხოვს, რომ ჩვენი სპეცსამსახურები ინფორმირებულნი და ეფექტურები იყვნენ მუშაობისას, ამიტომ მათ სჭირდებათ ტექნოლოგიური აღჭურვაც, საკანონმდელო ბაზაც, რომლითაც მათ არ გაურთულდებათ მუშაობა. ოპერატიული თვალსაზრისით, თუ ვინმეს „დამუშავება“ მიმდინარეობს, მაგრამ აღმოჩნდება, რომ მას არანაირი დანაშაული არ მიუძღვის, ასეთი მასალები უნდა დაარქივდეს და მკაცრად იქნეს დაცული, რომ საზოგადოებას ხელში არ ჩაუვარდეს და არ მიადგეს ჩრდილი უდანაშაულო ადამიანის ღირსებას“,** — აცხადებს გიორგი თავდგირიძე.

ამასთან, მიიჩნევს, რომ კომპრომატის საშუალებით ადამიანებს აიძულებენ, გარკვეული ქმედება ჩაიდინონ და რაც უფრო ცნობადი სახეა მათი სამიზნე, მით უფრო მნიშვნელოვანია მასზე კომპრომატების ფლობა. თუმცა, სხვადასხვა საჭიროებისთვის გამორიცხული არ არის, ჩვეულებრივი ადამიანების დაშანტაჟებაც, რადგან ე.წ. უფასო მუშახელი ყველას სჭირდება, როცა უსინდისობასთან გვაქვს საქმე.

თუმცა, ერთია ამ მასალების მოძიება და სრულად განადგურება, და მეორეა, მისი გამოყენების აკრძალვა კანონმდებლობით. ამიტომ, როგორც კი მათი გამოყენება მოხდება, მისი გამავრცელებელი უნდა დაისაჯონ.

ექსპერტი და ანალიტიკოსი **ვახტანგ მაისაია** აცხადებს, რომ აღნიშნულ მასალებს ყოფილი მაღალჩინოსნები ისევ ინახავენ და მათ გამოიყენებენ შავი პიარისა და იმ ადამიანების კომპრომეტირებისთვის, ვისთან მიმართებითაც ასეთი მოსმენები ხორციელდებოდა. ამიტომაც ამ არქივის განადგურების ინიციატივა დროულია. მით უფრო, რომ მოსმენები დღესაც ხორციელდება.

**„პირადად ჩემს მიმართ კვლავაც ხორციელდება მოსმენები, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ამას აკეთებს დღევანდელი ხელისუფლების შს სამინისტრო, უბრალოდ, ეს ისევ კონტროლირებადია სააკაშვილის მომხრე ძალების მიერ, რომელთაც ისევ აქვთ აპარატურა. ამიტომ უნდა მიხედონ კერძო დეტექტიურ სამსახურებს და იმ სტრუქტურებს, რომლებიც ჯერ კიდევ არიან ყოფილი მმართველი ძალის კონტროლქვეშ“,** — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

მისი თქმით, იმისთვის, რომ ამ ადამიანებმა დაიბრუნონ თვალთვალის ამსახველი მასალები, შესაბამისი ზომების მიღება უნდა მოხდეს, რადგან სხვა გამოსავალი არ არსებობს.

**მანანა ნოზაძე**

## დედამიწის ზურგზე

### ახალ ზელანდიაში ბავშვების უცნაური სახელები აკრძალეს

**სიაში 77 „სახელი“ აღმოჩნდა, რომლებიც, შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრით, უკიდურესად უცნაურებია და რომელთა გამოც შეიძლება დაზიანდეს ბავშვის ფსიქიკა. სხვა სახელთა შორის სიაში შევიდა დიუციფერი და დედოფალი ვიქტორია.**

### განზრახული აქვთ, ფუძიამას მთა გამოაცხადონ იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტად

**ძეგლებისა და ღირსსახსოვარი ადგილების შენარჩუნების საერთაშორისო საბჭომ იაპონიის მთავრობას აცნობა, რომ კონუსის იდეალური ფორმის თოვლიანი ვულკანური პიკი შეესაბამება რეგისტრაციას ასეთი ობიექტის გამოსაცხადებლად. საბოლოო გადაწყვეტილებას ივნისში ელოდებიან.**

### საბერძნეთი 1 მაისს ტრანსპორტის მუშაკთა 24-საათიანი გაფიცვით შეხვდა

**გაფიცულმა მეზღვაურებმა ყველა ხომალდი და ბორანი დააბეს, მთლიანად მოახდინეს კონტინენტალურ და ძირითად საბერძნეთს შორის მიმოსვლის პარალიზება. ქვეყანაში გაჩერდა რკინიგზები. შეზღუდულია ავტობუსების მუშაობის დრო. სახელმწიფო ჰოსპიტლები დახმარებას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში ახორციელებენ.**

### იტალიაში დააპატიმრეს ისლამისტები, რომლებიც ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელში ტერორისტულ აქტებს ამზადებდნენ

**ტერორისტული ბირთვი მოქმედებდა მინიმუმ ექვსი წლის განმავლობაში იტალიის, აგრეთვე ბელგიის რამდენიმე ოლქში. დამნაშავეები ქირაობდნენ თვითმკვლელებს არალეგალ-გასტარბაიტერების რიცხვიდან, შემდეგ მათ აგზავნიდნენ ბოევიკების მოსამზადებელ ბანაკებში ირანში, ავღანეთში, იემენსა და რუსეთში, მიაჩნიათ პოლიციაში.**

### ავღანეთის თვითმფრინავის აშშ სამხედრო ბაზის მახლობლად ჩამოვარდნა ვიდეოზე დაფიქსირდა

**ვიდეორეგისტრატორმა აღბეჭდა, თუ სატვირთო თვითმფრინავი „ბოინგ-747“ დაბალ სიმაღლეზე როგორ უცნაურად ტრიალებდა, სვლას ანელებდა, შემდეგ თითქოს ადგილზეც იყინებოდა, ბოლოს კი დაენარცხა დედამიწას და აფეთქდა. ავარია მოხდა 29 აპრილს დღისით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზის მახლობლად ქაბულიდან 50 კილომეტრში.**

### ვენესუელის დეპუტატებმა იჩხუბეს პარლამენტში პრეზიდენტის არჩევნების გამო

**ზედახორას წინ უსწრებდა პარლამენტის დადგენილება იმის შესახებ, რომ დეპუტატებს შეუძლიათ მიიღონ ხმის უფლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ნიკოლას მადუროს აღიარებენ სახელმწიფოს კანონიერ მეთაურად. შვიდმა დეპუტატმა ოპოზიციიდან იჩივლა, რომ მათ თავს დაესხნენ. მაგრამ დეპუტატებმა მმართველი პარტიიდან განაცხადეს, რომ ჩხუბი მათმა ოპონენტებმა წამოიწყეს.**

## შეხვედრამდე „კუზიანთან“!

**ღირსშესანიშნაობა „ზაპოროჟეცის“ სახით გაჩნდა კრასნოდარში ერთ-ერთი სახლის კედელზე. „მინდა, რომ ეს ადგილი გახდეს ნიშნული ქალაქის მცხოვრებლებისთვის და მათ აქ დანიშნონ შეხვედრები და პაემნები, — გვითხრა იდეის ინიციატორმა ვაზგენ სარქისიანმა. — ზოგი ძეგლის მახლობლად ხვდება ერთმანეთს, ზოგი საათის ქვეშ, ჩვენთან კი შეხვდებიან „კუზიანთან“.**

**ავტომობილი რომ საიმედოდ მიემაგრებინათ კედელზე, იქიდან ამოიღეს ძრავა და საჯდომები. ახლა იგი იწონის დაახლოებით 160 კილოგრამს და არავის ემუქრება.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# პროსტიტუცია და საბედისწერო განსაცდელი

***პროსტიტუცია** უძველესი პროფესიაა, რომელიც ყველა ქვეყანაში არსებობს. მეძავები საქართველოშიც მრავლად არიან. პროსტიტუციის მორალურ მხარეზე რომ არაფერი ვთქვათ, სექს-ინდუსტრია ქვეყანაში სხვადასხვა დაავადებების გავრცელების რისკს ზრდის, რამაც შესაძლოა სავალალო შედეგიც კი გამოიწვიოს. საქართველო მიეკუთვნება იმ ქვეყნებს, სადაც პროსტიტუცია ლეგალიზებული არასდროს ყოფილა, რადგან ამ პრობლემისადმი საზოგადოებში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა.*

*გავესაუბრედ კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **გიორგი გალდავას**.*

**— ბატონო გიორგი, მეძავები ყველაზე დიდ რისკ-ჯგუფებს წარმოადგენენ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გავრცელების თვალსაზრისით. ამ პროფესიის წარმომადგენლები, პერიოდულად მაინც არ იტარებენ სამედიცინო გამოკვლევას?**

— სამწუხაროდ, დღეს საქართველოში, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების პრევენციის და ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა არ მუშაობს, აქედან გამომდინარე, რისკ-ჯგუფებში პროფილაქტიკური ღონისძიებები არ ტარდება. **საბჭოთა პერიოდში კომერციულ „სექს-მუშაკებს“, იძულების წესით ათავსებდნენ დახურული ტიპის სტაციონარებში, რომელიც თბილისში და ქუთაისში არსებობდა და იქ უტარებდნენ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას, მაგრამ საქართველოში და, ზოგადად, მთელს მსოფლიოში ამ საკითხისადმი მიდგომა რადიკალურად შეიცვალა.** პირველ ეტაპზე წამოიწია ადამიანის უფლებების დაცვამ, ამიტომ იძულების წესით მათი მკურნალობა გამორიცხულია, მით უმეტეს, სამედიცინო მომსახურება ფასიანია...

**— რომელი გადამდები დაავადებებია უფრო გახშირებული?**

— ჩვენს კლინიკაში აღირიცხება ეს დაავადებები. უნდა გითხრათ, რომ ამ ეტაპზე კლების ტენდენცია არ შეიმჩნევა, პირიქით, ზოგიერთი დაავადება უფრო მეტად გახშირდა. მაგალითად, ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი, გენიტალური სოკოვანი ინფექცია და სიფილსი და, რაც განსაკუთრებით საგანგაშოა — შიდსიც....

**— რამდენადაც ვიცი, ძალიან ხშირად, პაციენტები მეგობრების რჩევით მკურნალობენ. თქვენ პაციენტები როგორ მოგმართავენ?**

— დღეს, რახან მკურნალობა ფასიანია, პაციენტები ექიმის გარეშე, თვითმკურნალობას მიმართავენ, მეგობრის ან ნათესავის „გამოცდილების“ გათვალისწინებით. ამას ხელს უწყობს სამკურნალო საშუალებების სატელევიზიო და ბეჭდვითი რეკლამა, მედიკამენტების ურეცეპტოდ გაცემა, სააფთიაქო ქსელის მუშაკთა მიერ მკურნალი ექიმის კომპეტენციაში ჩარევა, უფრო ხშირად ფარმაცევტებისა და პროვიზორების რჩევით დანიშნული ანტიბიოტიკები ...

მსგავსი ტიპის მკურნალობა, რა თქმა უნდა, არაეფექტიანია... ძალზედ ხშირად შესაძლოა გართულებებიც გამოიწვიოს. **უნდა აღინიშნოს, რომ პაციენტების რაოდენობა მას შემდეგ შემცირდა, რაც ჩვენმა დაწესებულებამ ადგილმდებარეობა შეიცვალა.** ბევრმა არ იცის, რომ დერმატო-ვენეროლოგიური კლინიკები გაერთიანდა და ნინოშვილისა და კონსტიტუციის ქუჩებიდან გადავიდა ახალ, თანამედროვე ტიპის შენობაში, დიღომში, ლუბლიანას ქუჩა №5-ში, რომელიც აღჭურვილია ულტრათანამედროვე სადიაგნოსტიკო და სამკურნალო აპარატურით. ჩვენთან ყველანაირი პირობაა მაღალი დონის გამოკვლევებისა და სათანადო სამკურნალო თერაპიის. არაპროფილურ დაწესებულებებში — თერაპიულ, უროლოგიურ და გინეკოლოგიურ კლინიკებსა და განყოფილებებში კი, ძალიან ხშირად მცდარ დიაგნოზს სვამენ და მკურნალობაც არასწორად წარიმართება.

გვაქვს ინფორმაცია, რომ ძალიან ბევრი გინეკოლოგი, უროლოგი და რეპროდუქტოლოგი მცდარი დიაგნოზის საფუძველზე პაციენტებს ასევე მცდარად მკურნალობენ ურო-გენიტალურ ქლამიდიოზზე და სხვა ინფექციებზე. ამიტომ, პაციენტმა, მხოლოდ სპეციალიზებულ დერმატო-ვენეროლოგიურ დაწესებულებას უნდა მიაკითხოს...

**— ამბობენ, რომ ქუჩაში მდგომი ქალების უმეტესი ნაწილი დაავადებულია...თქვენ, როგორც დერმატო-ვენეროლოგს, თუ გაქვთ კონტაქტი მათთან?**

— როგორც უკვე ვთქვი, ადრე უფრო მჭიდრო კონტაქტი არსებობდა. იყო სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანი იყო „სექს-მუშაკებში“ და ჰომოსექსუალური ქცევის მამაკაცებში ვენერიული დაავადებების პრევენცია. მაშინ ამ პროგრამას მოცული ჰქონდა მთელი ქვეყნის ტერიტორია. ასევე, აქტიურად მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანადგომა“... „სექს-მუშაკები“ ჩვენთან მოჰყვდათ.

**— ფაქტია, რომ პროსტიტუციით დაკავებული ადამიანები, დიდ ფსიქოლოგიურ წნეხში იმყოფებიან, მათ ხშირად აყენებენ ფიზიკურ თუ სიტყვიერ შეურაცხყოფას, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ყოველდღე დგანან და კლიენტებს ელოდებიან... რა აიძულებს ქალს ასეთი არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმისკენ?**

— „მეძავები“, თავიანთი ცხოვრების წესს მძიმე სოციალურ პირობებს აბრალებენ, რომელთა შორის პირველ ადგილზე დგას მარტოხელა დედის ფაქტორი... ფაქტია, რომ მათ არა აქვთ სახარბიელო ცხოვრება, დგანან სიცივეში, ან პაპანაქება სიცხეში, წვიმაში და ელოდებიან ცლიენტს... **პარტნიორები მეძავებს, ხშირად უფრო მაღალი ანაზღაურების სანაცვლოდ, დაუცველ სქესობრივ კავშირს სთავაზობენ.** როცა ასე გახშირებულია ვენერიული დაავადებები, დაუშვებელია მამაკაცმა წუთიერი სიამოვნების სანაცვლოდ, დაუცველი სქესობრივი კავშირი დაამყაროს „სექს-მუშაკთან“. ასეთმა წუთიერმა სიამოვნებამ მას შესაძლოა უდიდესი პრობლემები შეუქმნას, ოჯახი დაუნგრიოს, ჯანმრთელობა შეურყიოს, ფინანსურადაც დაზარალოს.

**— ადამიანი თუ დროულად არ მიაკითხავს ექიმს, რა პათოლოგიები შეიძლება გამოიწვიოს ვენერიულმა დაავადებამ?**

— სქესობრივი გზით გადამდებმა დაავადებებმა შეიძლება გამოიწვიოს უშვილობა, მამაკაცებში პოტენციის დაქვეითება-იმპოტენცია და სხვა გართულებები. ეს არ არის მხოლოდ შარდსასქესო სისტემის ანთებითი პათოლოგიები, მათი ფარული, ქრონიკული და ხანგრძლივი მიმდინარეობა ადამიანის მთელ ორგანიზმში იწვევს სხვადასხვა გართულებას — კუჭ-ნაწლავის, გულსისხლძარღვთა, მხედველობის, საყრდენ-მამოძრავებელი და სხვა ორგანოების დაზიანებას. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი გადამდები ვენერიული დაავადება საბედისწერო შედეგების მომტანია და სიკვდილსაც კი იწვევს.

**— თქვენ როგორც ექიმი, რა აზრის ხართ პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე?**

— პროსტიტუციის ლეგალიზაცია შეიძლება განვიხილოთ ორი მიმართულებით... ერთი მხრივ, ლეგალური პროსტიტუციის შემთხვევაში, ჩვენ მივიღებთ „ინდ-მეწარმეს“, ანუ გადასახადის გადამხდელს — კომერციულ სექს-მუშაკს, რომელთაც ექნებათ ჩვეულებრივი პროფესია, სამუშაო საათები, ბიუჯეტში შესატანი ოფიციალური გადასახადი და ა.შ. ხოლო, მეორე მხრივ, მივიღებთ ახალ კანონს, რომლის მიხედვითაც თითოეულ სექს-მუშაკს მოუწევს ვალდებულების აღება, რათა ჩაიტაროს პროფილაქტიკური გამოკვლევა სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე. სამედიცინო თვალსაზრისით, ლეგალიზაციას დადებითი შედეგი ექნება და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები ნაკლებად გავრცელდება. არის მესამე მომენტიც... ტრადიციულ და ძირძველ მართლმადიდებელ ერს შეუძლია აღიაროს ასეთი „ბიზნესის“ არსებობა? — რა თქმა უნდა, არა... რელიგიური თვალსაზრისით, ეს მიუღებელია...

საერთოდ, პროსტიტუციის ლეგალიზაცა დიდი პრობლემაა და იგი არ უნდა მოხდეს ეკლესიის, სპეციალისტების და კანონმდებლების გარეშე...

**— არა მგონია, რომ საქართველოში მომუშავე „სექს-მუშაკს“ დადებითი დამოკიდებულება ჰქონდეს პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე... უცხოეთში ამ მხრივ რა მდგომარეობაა?**

— ამსტერდამი, ჰამბურგი, სხვა ქალაქები და ქვეყნებია ამ ბიზნესის თვალსაჩინო მაგალითი. მოგეხსენებათ, რომ ევროპის ბევრ სახელმწიფოში პროსტიტუცია ლეგალიზებულია და იქ არსებობენ ყველასათვის ცნობილი ქუჩები, უბნები, სადაც ვიტრინებში ან პირდაპირ საფეხმავლო ტერიტორიაზე გამოფენილნი არიან სექს-მუშაკები, რომლებიც კლიენტებს დაუფარავად, ყველას თვალწინ, მომსახურების ფასზე ევაჭრებიან... იქ სექსუალური კულტურაც მაღალია. მაგალითად, შვედეთში მინიმუმამდეა დაყვანილი სქესობრი გზით გადამდები დაავადებები. შვედეთის ხელისუფლება ყველანაირად ზრუნავს იმაზე, რომ მათთან მოსაზღვრე ქვეყნებიდანაც კი, არ შეაღწიოს ამ დაავადებებმა... ტაილანდში მეძავებს თვეში ერთხელ, ან ორჯერ უტარებენ კვალიფიციურ გამოკვლევებს, რათა მათი მომხმარებელი მაქსიმალურად დაიცვან ვენერიული დაავადებებისგან.

**ჩვენს ქვეყანაში, სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით, გადაუჭრელ თავსატეხად რჩება პროსტიტუციის და ვენერიული დაავადებების პრობლემის მოგვარება, რაც დამღუბველ ზეგავლენას ახდენს ერის გენოფონდზე.**

**მზია გოგოძე**

## © სურსათის უვნებლობა

# არც მშივრები რომ არ დავიხოცოთ და ჯანმრთელიც დავრჩეთ

**(მემორიალ გვერდიდან)** ამასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა **ქეთევან ლაფერაშვილმა,** კერძოდ, განაცხადა:

**— აღნიშნული კანონპროექტი ცვლილებათა მთელ პაკეტს მოიცავს, სადაც ჩვენი სამინისტროს ფუნქციაა, ზოგადად, სურსათის უვნებლობის სფეროში გასატარებელი პოლიტიკის შემუშავება, რაც იმას ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შემუშავების უფლებამოსილება მას ექნება. მთელ რიგ საკითხთან დაკავშირებით წინასწარ სამუშაო ვერსიებზე მუშაობა დასრულებულია, მათი საბოლოო ვარიანტები, ალბათ, შემოდგომაზე დაიდება. კოდექსის ახალ ვარიანტში ის ფუნქციები იქნება გაწერილი, რომლებსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო სურსათის უვნებლობის სფეროში განახორციელებს, ხოლო, რაც შეეხება მოქმედ კანონმდებლობასა და ახალ კანონპროექტში ძველ კოდექსთან არსებულ განსხვავებებსა და ცვლილებებს ეხება, აღსანიშნავია, რომ შეცვლილია ზოგიერთი მუხლის რედაქცია, ტერმინთა განმარტებები. არის მნიშვნელოვანი დამატებებიც, მაგალითად, ახალია მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მუხლი, რომელიც ადრე არ იყო. ასევე ახალ კოდექსში შეცვლილი იქნება თავად სურსათის უვნებლობის განმარტება, გაძლიერდება მწარმოებლის პასუხისმგებლობა და სხვ.**

ამრიგად, „სურსათის, ცხოველების საკვების, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექში“ შესატანი ცვლილებები ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ისაა, რომ ახალ კოდექსში გათვალისწინებულია საზოგადოების მიერ არაერთგზის გამოთქმული პრეტენზიები იმის თაობაზე, რომ **მასში, ფაქტობრივად, იგნორირებული იყო მომხმარებლის უფლებები, აქცენტი მწარმოებლების უფლებებზე იყო გაკეთებული, ხოლო სურსათის უვნებლობის სააგენტოს ოპერატიული რეაგირების ქმედითი ინსტრუმენტი არ გააჩნდა.** ახალ კანონპროექტში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული, აცხადებს ქალბატონი ვერიკო გულუა. მაგალითად, მეტად მნიშვნელოვანია სურსათის წარმოებისა და კვების ობიექტების არაგეგმიური შემოწმებების დაშვება მეწარმის გაუფრთხილებლად, რის შედეგად ინსპექტირება გაცილებით ეფექტიანი გახდება.

ჩვენს მხრივ დავძენთ, რომ „სურსათის, ცხოველების საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ მიზანია მოსახლეობისა და ცხოველთა ჯანმრთელობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, ასევე სურსათის, ცხოველთა საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. კოდექსის ახალ რედაქციაში დახვეწილი იქნება შესაძლო რისკების ანალიზის, მათი შეფასების, მართვის, აგრეთვე კომუნიკაციური პროცედურების განხორციელების მექანიზმები.

თუმცა კი, ჩვენი აზრით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება მაინც კოდექსის 101-ე მუხლია, რომელიც **„მომხმარებელთა ინტერესების დაცვას“** ეხება. **მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „მომხმარებელს უნდა მიეწოდოს სურსათთან, ცხოველთა საკვებთან, ცხოველთან, მცენარესთან, ცხოველურ და მცენარეულ პროდუქტთან, ვეტერინარულ პრეპარატთან, პესტიციდსა და აგროქიმიკატთან დაკავშირებული აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაციაა, რაც მას სწორი არჩევანის საშუალებას მისცემს“.** ამრიგად, მომხმარებელი დაცული უნდა იყოს არათუ მოტყუებისგან, არამედ შეცდომაში შეყვანის მცდელობისგანაც კი. ცვლილებები შეეხება ბიზნესოპერატორის რეგისტრაციის პროცედურას, ხარისხისადმი მოთხოვნებს: **„სურსათის უვნებლობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სურსათის არა მხოლოდ შესაძლო მყისიერი, ხანმოკლე, ან გრძელვადიანი გავლენა მომხმარებელზე, არამედ მისი ეფექტი მომდევნო თაობებზე და შესაძლო კუმულაციური ეფექტიც“.**

**ოთარ ტურაბელიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ დღეს – ხვალისთვის

# ტრიუმფატორები – პრემიერ-მინისტრთან

**უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ქართველმა ძიუდოისტებმა, როგორც გაუწყეთ, შესანიშნავად იასპარეზეს და გუნდურ ჩემპიონობასთან ერთად ინდივიდუალური პირველობის სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

მადიართა ქვეყნიდან დაბრუნებულ ქართველ ფალავნებს საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს სპორტის სამინისტროში, შემდეგ კი ტრიუმფატორებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი შეხვდა. „საოცარ წარმატებას მიაღწიეთ, მთელ საქართველოს ეამაყებით და მინდა პირადად თქვენგან მოვისმინო ის პრობლემები, რომელთა გადაჭრით ძიუდოში კიდევ უფრო დიდ გამარჯვებებს ჩავუყრით საფუძველს“, – მიმართა ივანიშვილმა ძიუდოისტებს. ფედერაციის ხელმძღვანელობამ და სპორტსმენებმა მთავარ პრობლემად ევროსტანდარტების შესაბამისი ბაზის უქონლობა დაასახელეს – ერთობლივი შეკრებებისთვის უცხო ქვეყნების ნაკრები გუნდების მოსაწვევად და უმაღლესი დონის ტურნირების გასამართავად სათანადო საწვრთნელი კომპლექსი და საშეჯიბრო დარბაზი არა გვაქვსო. პრემიერ-მინისტრმა იქვე დაავალა სპორტის მინისტრ ლევან ყიფიანს არქიტექტორებთან ერთად სათანადო პროექტის სასწრაფოდ მომზადება. ბიუჯეტში საჭირო თანხის უქონლობის შემთხვევაში, ახალი დარბაზის მშენებლობისა და სრულყოფილი საწვრთნელი კომპლექსის მოწყობის ხარჯებს ბიძინა ივანიშვილი თავისი ფონდიდან გაიღებს.

რაც შეეხებათ ძიუდოისტებს, ისინი რამდენიმე დღე დაისვენებენ და მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას დაიწყებენ.

**ლექსო ცინცაძე**

◎ ცურვა

# დიღმელი – ტალანტების გამოსავლენად



**თბილისის, საჩხერის, ჭიათურის, აჭარის, რუსთავისა და გორის 2001-2004 წლებში დაბადებული 130-ზე მეტი მოცურავე იბრძოდა დედაქალაქის ღია პირველობაზე, რომელსაც დიღმის საცურაო აუზმა უმასპინძლა.** ამ ასაკის სპორტსმენებს 2017 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში მოუწევთ გამოსვლა, ამიტომ საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის მესვეურები ოთხი წლით ადრე იჭერენ თადარიგს ტალანტების გამოსავლენად. სასიამოვნოა ისიც, რომ ბოლო დროს შეჯიბრებებში პერიფერიების წარმომადგენლები ყოჩაღობენ. გაუწყებთ დიღმის აუზში გამარჯვებულთა ვინაობას:

**2003-2004 წლებში დაბადებული. 100 მეტრზე კომპლექსური ცურვა.** თამარ მეგრელიძე (რუსთავი, 1.40,57), ნიკა ბერიანიძე („ტონუსი“, 1.28,85). **4X50 მ. ამანათი. გოგონები**. 1. „ტონუსი“ (2.57,02), 2. გორი (3.04,25), 3. საჩხერე (3.29,88). **ბიჭები.** 1. „ტონუსი“ (2.14,48), 2. გორი (2.19,38), 3. „ოლიმპიკი“ (2.30,53). **50 მ. ბატერფლაი.** ანა ბუხრიკიძე (45,31), ლუკა ელიაური (ორივე – გორი, 38,80). **გულაღმა 50 მ.** თამარ მეგრელიძე (რუსთავი, 43,40), ლექსო სადღაშვილი (გორი, 42,99), **100 მ.** ემრე ბილგუთაი („ვაკე“, 1.34,45), **50 მ. ბრასი.** ნინო სიხარულიძე („დიღომი“, 51,71), ლექსო კაშია („ლაგუნა ვერე“, 43,16), **თავისუფალი ყაიდა. 50 მ.** ანა ბუხრიკიძე (42,51), ლუკა ელიაური (35,13), **100 მ.** მარიამ რუხაძე (1.25,34), ნიკა ბერიანიძე (ორივე – „ტონუსი“, 1.20,79).

**2001-2002 წ.წ. ბიჭები. 100 მ. კომპლექსური ცურვა.** სანდრო დურგლიშვილი („ტონუსი“, 1.20,55), **ბატერფლაი.** გაგა ჩიტიძე (საჩხერე, 1.30,03), **გულაღმა.** გაგა ჩიტიძე (1.22,79), **ბრასი.** გიგა სულხანიშვილი („ტონუსი“, 1.31,84), **თავისუფალი.** სანდრო დურგლიშვილი (1.08,02), **4X50 მ. კომბინირებული. გოგონები.** 1. „ტონუსი“ (3.18,45), 2. გორი (3.23,21), 3. „ოლიმპი“ (3.26,19). **ბიჭები**. 1. „ტონუსი“, (2.34,53), 2. გორი (2.42,19), 3. „ოლიმპიკი“ (2.49,44).

**ლაშა დიდია**

◎ ფეხბურთი

# მოჩქარეს მოუგვიანდა

**ევროტურნირების პლეი-ოფებს მარტივი სტრატეგია ახასიათებს: თუ პირველი რაუნდის შემდეგ სოლიდური ჩამორჩენის აღმოფხვრას ლამობ, აქცენტს სწრაფ გოლზე აკეთებ, ხოლო თუ მიზანს მიაღწიე, ამით საერთო ამოცანის შესრულება გიადვილდება და სასწაულის მოხდენის შანსიც ერთიორად გეზრდება.**

ეს სათქმელადაა ადვილი, ხოლო როგორი რთული შესასრულებელია, ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალმა დაადასტურა.

**„რეალი“ – „ბორუსია“ – 2:0**
**(პირველი შეხვედრა – 1:4)**
**გოლები:** ბენზემა, რამოსი.

საშუალო თაობის გულშემატკივარს კარგად ემახსოვრება გასული საუკუნის 80-იანი წლების „საშეფო კლუბი“, რომელმაც სანტილიანას, ბუტრაგენიოს, სანჩესისა და მიჩელის ძალისხმევით ზედიზედ ორჯერ მოიგო უეფას თასი, თუმცა საფეხბურთო სამყაროში ავტორიტეტი უფრო იმით გაიმყარა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ შეკრებილ აუდიტორიას ზღაპრული მატჩ-რევანშებით ანებივრებდა (მაგალითად, „გლადბახთან“ – 1:5, 4:0, „ანდერლეხტთან“ – 0:3, 6:1).

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, კონტინენტის ყველაზე ტიტულოვან კლუბს წარმატებებიც არ მოჰკლებია, მაგრამ ჩემპიონთა ლიგაში საიუბილეო – მეათე ტრიუმფი რატომღაც იგვიანებს.

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, კასტილიური გრანდის ბოსებმა ნავსის გასატეხად „განსაკუთრებულს“ – ჟოზე მაურინიუს უხმეს. რა ქნას პორტუგალიელმა მწვრთნელმა – „თეთრები“ ზედიზედ მესამედ გაიყვანა ნახევარფინალში, მაგრამ, ეტყობა, ასეთი კონტინგენტით კოლექციის გამდიდრება შეუძლებელია.

ეს რომ ასეა, იურგენ კლოპის გუნდთან გამართულმა საპასუხო ბრძოლამაც დაამტკიცა, რომელშიც მასპინძლებმა საკუთარი რეპუტაციის შესაბამისი თამაში მხოლოდ საწყის და დასკვნით ათწუთიან მონაკვეთებში აჩვენეს. ბუნებრივია, ეს ფინალში გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა, თუმცა კაცმა არ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, მეკარე ვაიდენფელერთან დებიუტშივე პირისპირ გასულ იგუაინს, რონალდუს ან იოზილს ერთ-ერთი მომენტი რომ გამოეყენებინათ.

რაც შეეხება ბუნდესლიგის ორი უკანასკნელი სეზონის გამარჯვებულს, იგი 1997 წლის შემდეგ მეორედ აფრინდა ასე მაღლა. ღირსეულადაც – თუ ვინმეს ეჭვი ეპარება „ვესტფალენშტადიონის“ ბინადართა აღზევების სამართლიანობაში, წლევანდელი გათამაშების შედეგებს და, რაც მთავარია, თამაშის ხარისხს გადახედოს.

**გიორგი შოთაძე**

◎ ჭადრაკი

# ორი ქართველიც ითამაშებს

**ფიდეს ინიციატივით 2013-2014 წლებში გრან-პრის ექვსი რაუნდი გათამაშდება, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 18 მოჭადრაკე იბრძოლებს პირველობისთვის, რითაც მსოფლიოს ჩემპიონთან თამაშის უფლებას მოიპოვებს. თითოეული მოჭადრაკე ოთხ ტურნირში იასპარეზებს და სამი საუკეთესო შედეგი საერთო ჩათვლაში შევა.** ქართველთაგან გრან-პრიში ქვეყნის სპორტულ ღირსებას ნანა ძაგნიძე და ბელა ხოტენაშვილი დაიცავენ. შეჯიბრება ხვალ აიღებს სტარტს შვეიცარიულ ჟენევაში. იქ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2617), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2585), ორგზის ევროპის ჩემპიონი კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2548), 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ნანა ძაგნიძე (2545), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2544), ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2522), ორგზის ევროპის ჩემპიონი ტატიანა კოსინცევა (რუსეთი, 2517), ბელა ხოტენაშვილი (2505), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2491), მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონი ანა უშენინა (უკრაინა, 2491), ოლგა გირია (რუსეთი, 2463), თუვშინთუგს ბატჩიმეგი (მონგოლეთი, 2295).

**გივი გაგუა**

# საუკეთესონი ფიდეს რეიტინგით

**ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია ყოველთვიურად აქვეყნებს მოწინავე მოჭადრაკეთა განახლებულ რეიტინგებს. საპირველმაისოდ ასეთი მდგომარეობაა:** ვაჟთა ასეულის სათავეშია ნორვეგიელი მაგნუს კარლსენი (2868). ათეულში შემდეგ მოდიან: ლევონ არონიანი (სომხეთი, 2813), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2811), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2793), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2783), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2779), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2775), ფაბიო კარუანა (იტალია, 2774), პიოტრ სვიდლერი (რუსეთი, 2769), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2767). ბაადურ ჯობავა 2702 პუნქტით 44-ე ადგილზეა.

ქალებში ისევ იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2696) ლიდერობს. საუკეთესო ათეულში არიან ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2617), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2597), ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2585), ჟაო სიუ (ჩინეთი, 2565), კატერინა ლაგნო (უკრაინა, 2548), ნანა ძაგნიძე (2545), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2544), ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი, 2531), მარი სებაგი (საფრანგეთი, 2527)... 16. ბელა ხოტენაშვილი (2505), 33. ლელა ჯავახიშვილი (2464), 49. ნინო ხურციძე (2428), 51. სოფიკო გურამიშვილი (2426), 52. სალომე მელია (2423), 70. ნინო ბაციაშვილი (2390), 77. სოფიკო ხუხაშვილი (2383), 91. ნაზი პაიკიძე (2368).

**ნატა ნიბლაძე**

◎ რეგიონი

# 150 ქალ-ვაჟი - მძლეოსნურ სექტორებზე

**ჭვარზენში სამეგრელო-ზემო სვანეთის მძლეოსნობის ფედერაციის (პრეზიდენტი რევაზ ბუკია) ინიციატივითა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით მძლეოსანთა სამხარეო პირველობა გაიმართა, რომელშიც საპრიზო ადგილებისთვის 150-მდე სპორტსმენი იბრძოდა.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე უმთავრესად სხვადასხვა ასაკში საქართველოს ნაკრების წევრები ავიდნენ. თავი გამოიჩინეს ახალგაზრდებმაც. განსაკუთრებით 11 წლის ზუგდიდელი ბელა ჭკადუას წარმატება უნდა გამოვყოთ: 400 მეტრზე მან 3-4 წლით უფროსებთან პაექრობაში მესამე ადგილი დაიკავა. დისციპლინების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ:

**გოგონები. 100 მ**. ალიონა თათარიშვილი (ფოთი, 13,72), **200 მ**. მარიამ ჩაკაბერია (27,31), **400 მ**. თეა ფაცურია (ფოთი, 1.01,63), **800 მ**. ანა სანაია (მარტვილი, 2.48,47), **სიგრძეზე ხტომა**. ელისო დანელია (მარტვილი, 4,22). **შუბი.** თეა ფაცურია (25,70), **ბირთვი.** ნათია ნაჭყებია (ფოთი, 9,79), **ბადრო.** თეა ფაცურია (25,84), **4X100.** 1. ზუგდიდი (55,04), 2. ფოთი (56,01), 3. წალენჯიხა (59,1).

**ბიჭები. 100 მ.** გიორგი ჟვანია (ფოთი, 11,89), **200 მ**. დავით ჭედია (ზუგდიდი, 24,11). **400 მ.** აკაკი გოგუა (ჩხოროწყუ, 56,47), **800 მ.** ჯიმი ბუკია (ხობი, 1.10,03), **1500 მ.** ჯეირან ხოფერია (ფოთი, 4.27,21), **სიგრძეზე ხტომა.** დავით ლუკავა (ზუგდიდი, 5,71), **სამმაგი ხტომა.** დავით ლუკავა (11,99), **ბადრო**. დავით შონია (ფოთი, 34,08), **ბირთვი.** ზაზა გიგაია (მარტვილი, 12,48), **შუბი.** გიორგი კორტავა (ხობი, 38,50).

**გუნდური.** 1. ზუგდიდი (120 ქულა), 2. ფოთი (111), 3. ხობი (98).

**ვაჟა ნოსირელი**

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ძვირფასი საჩუქარი ამერიკიდან

# პეტრე ხვედელიძემ საკუთარი აუდიო-არქივის ნაწილი ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა

**ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი გიორგი კეკელიძე 20-30 აპრილს ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, — გვამცნობს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდი, — ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკაში გიორგი კეკელიძის პოეზიის საღამო გაიმართა. იგი პირველი ავტორია საქართველოდან, რომელიც კონგრესის ბიბლიოთეკის აუდიტორიის წინაშე წარსდგა. დაიგეგმა მისი ლექსების ინგლისურ ენაზე თარგმნა.**

გიორგი კეკელიძე კონგრესის ბიბლიოთეკის დირექტორს ჯეიმს ბილინგტონს და მსოფლიო დიგიტალაზიციის ორგანიზაციის მენეჯერს ჯონ უდერანენს შეხვდა. ბიბლიოთეკების დახურული ელექტრონული ბაზები ორივე მხარისთვის გახდება ხელმისაწვდომი. ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები კონგრესის ბიბლიოთეკაში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსაც გაივლიან.

ასევე გაიმართა შეხვედრა ვაშინგტონში ქართველი ემიგრანტების შთამომავლებთან, რომელთაც ქართულ მხარეს მნიშვნელოვანი საარქივო მასალები გადასცეს. ამერიკიდან ჩამოტანილი უნიკალური მასალები ეროვნული ბიბლიოთეკის ახლად გახსნილ ემიგრაციის დარბაზს გადაეცემა.

ვიზიტის ფარგლებში გიორგი კეკელიძე ბოსტონში ცნობილი ქართველი ემიგრანტის ოთარ ზალდასტანიშვილის შვილს — ლიზი ზალდასტანს შეხვდა. ქალბატონმა ლიზიმ ეროვნულ ბიბლიოთეკას მამის უნიკალური არქივი გადასცა. ოთარ ზალდასტანიშვილი იყო ამერიკაში მცხოვრები ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული ქართველი ემიგრანტი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, მსოფლიოს მერვე საოცრებად წოდებულ „პალმა ჯუმეირას“ დამპროექტებელი. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ნიუ-იორკში არსებულ „საქართველოს ასოციაციას“. ოთარ ზალდასტანიშვილის არქივი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ამერიკული ემიგრანტული მასალაა საქართველოს შესახებ და ეს მასალები უახლოეს მომავალში ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდების ნაწილი გახდება. უნიკალურ საარქივო მასალებს შორის არის ოთარ ზალდასტანიშვილის წიგნები, ჟურნალები, წერილები, ხელნაწერები, რომელსაც ცნობილი არქიტექტორი წლების განმავლობაში აგროვებდა. არქივი ეროვნულ ბიბლიოთეკას რუსუდან გორგილაძის დახმარებით გადმოეცა.

გიორგი კეკელიძე და პეტრე ხვედელიძე

ქართული ემიგრაციის ღირსეულმა წარმომადგენელმა პეტრე ხვედელიძემ, რომელიც ამჟამად ვაშინგტონში ცხოვრობს, საკუთარი აუდიო-არქივის ნაწილი ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს გიორგი კეკელიძეს გადასცა. ეროვნულ ბიბლიოთეკას გიორგი პაპაშვილის არქივის ნაწილიც გადაეცა. ბიბლიოთეკა მადლობას უხდის ვაშინგტონელ ქართველებს — რუსუდან წერეთელს და ხატია პაიჭაძეს გაწეული დახმარებისთვის.

**ნატა ნიბლაძე**

◎ ალიან-ჩალიანი

## ჩოხატაურში მედპერსონალი გაიფიცა

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ საავადმყოფოს ექიმებმა განუცხადეს, კომპანია „ადითი“ ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და მათ რამდენიმე თვეა, ხელფასი არ აუღიათ.**

**ექიმები აცხადებენ, რომ საავადმყოფოში შეწყვეტილია პაციენტების მიღებაც. მათივე თქმით, გაფიცვა გაგრძელდება, ვიდრე მათი მოთხოვნები არ შესრულდება.**

**ექიმები მოითხოვენ, რომ საავამდყოფოდან გავიდეს კომპანია „ადითი“ და სახელმწიფოს დაუბრუნდეს მმართველობაში.**

**მათივე განცხადებით, ამ პროტესტს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმებიც შეუერთდებიან.**

## ყაჩაღები დააკავეს

**ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის მესამე განყოფილების თანამშრომლებმა ყაჩაღობის ბრალდებით ირაკლი ს. და წარსულში თაღლითობისთვის ნასამართლევი, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი პაატა ფ. დააკავეს.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 2013 წლის 24 აპრილს თბილისში ნუცუბიძის მე-2 მ/რ სადისტრიბუციო ავტომანქანის მძღოლი ნუგზარ ნარინდოშვილი დააყაჩაღეს.**

**ბრალდებულებმა მას ცივი იარაღის მუქარით 885 ლარი და მობილური ტელეფონი გასტაცეს.**

**სამინისტროს ცნობით, სამართალდამცველებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად პაატა ფ. რუსთაველის გამზირზე, ხოლო ირაკლი ს. დიღმის მასივში დააკავეს. დაკავებულები აღიარებენ ჩადენილ დანაშაულს.**

**გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს, რაც 6-დან 9 წლამდე პატიმრობას ივალისწინებს.**

**ინტერპრესი**

◎ ჩვენი კარაბადინი

# დიაბეტი იკურნება!

## თუ მას ადრეულ სტადიაში გამოვავლენთ

**უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში დიაბეტით დაავადებულ ადამიანთა რაოდენობა 100 და მეტი პროცენტით გაიზარდა. შეიძლება, რომ შევაჩეროთ ეპიდემია?**

**ამის შესახებ ვესაუბრებით მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ცნობილ სპეციალისტს ალექსანდრ მაიოროვს.**

### ცხოვრება... ხარისხზეა დამოკიდებული

**— ბატონო ალექსანდრ, 2013 წელს მთავრდება ინსულინების ანალოგებზე (ყველაზე თანამედროვე და ეფექტიან წამლებზე, რომლებსაც დიაბეტის დროს იყენებენ) პატენტების მოქმედების ვადა. ელოდებიან, რომ ბაზარზე შემოიჭრება იაფი ინდური და ჩინური პრეპარატები. რას მოგვცემს ეს?**

— ფარმკომპანიებისთვის ინსულინისა და მისი ანალოგების წარმოება — გემრიელი ლუკმაა. ამიტომ ხშირად კომპანიები უპირატესობას ბაზარზე ცივილიზებული გზით შესვლას კი არ ანიჭებენ, როდესაც აწარმოებენ დამოუკიდებელ კვლევებს, რომლებიც პრეპარატის ხარისხს ადასტურებენ, არამედ „ადმინისტრაციულს“, სთავაზობენ უფრო დაბალ ფასს. ჯანმრთელობის დაცვის ჩვენი ჩინოვნიკებისთვის პრეპარატების შერჩევის დროს გადამწყვეტ როლს ასრულებს არა ცხოვრების ხარისხი, არამედ ფასი. შედეგად ავადმყოფები შეიძლება გადაიყვანონ ახალ, ნაკლებად ეფექტიან პრეპარატებზე.

**— მაგრამ, იქნებ, ეკონომია გამართლებულია?**

— დიაბეტიანი ადამიანები წამლებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ღებულობენ. მათი მდგომარეობა პირდაპირ არის დამოკიდებული პრეპარატის ხარისხზე, რომელიც განისაზღვრება არა მხოლოდ ქიმიურ ფორმულასთან შესაბამისობით, არამედ რეზერვუარის ლითონითაც, რომელშიც ინსულინის გამომწვევი ბაქტერიებია. მთელ მსოფლიოში იმისთვის, რომ დაადასტუროს ახალი წამლის ეფექტიანობა, მწარმოებელმა ხელახლა უნდა მოაწყოს კლინიკური გამოცდის ყველა ეტაპი. ბევრ ქვეყანაში საკმარისია პრეპარატის სამთვიანი ტესტირება დიაბეტით დაავადებულ ადამიანებზე, რის შემდეგაც ხდება რეგისტრაცია. თუ ამ პერიოდში პაციენტი უფრო ცუდად არ გახდა, პრეპარატი ნორმის შესაბამისად მიიჩნევა. შემდეგ უკვე ხარისხს თვალყურს აღარ აქცევენ.

**— შეუძლია ექიმს პაციენტს გამოუწეროს არა იაფი ინდური პრეპარატი, არამედ ძვირი ევროპული?**

— თეორიულად შეუძლია, მაგრამ ამისთვის საჭირო იქნება სერიოზული დასაბუთება. ვინ დაიწყებს ამ დადასტურებათა შეგროვებას?

**— რით აიხსნება დიაბეტით დაავადების მკვეთრი ზრდა?**

— აფეთქება დაიწყო XX საუკუნის შუა პერიოდიდან, როდესაც კალორიული საკვები აღარ იყო მდიდრების პრივილეგია, ფიზიკური დატვირთვა კი ტექნიკური პროგრესის გამო განვითარებად ქვეყნებშიც კი შემცირდა. დიაბეტის გავრცელების მიხედვით (15-20 პროცენტი) მათ დასავლეთის ქვეყნებსაც კი გაუსწრეს. დღეს მსოფლიოში შაქრის დიაბეტით დაავადებული 371 მილიონი კაცი ცხოვრობს. თანაც მათგან 50 პროცენტმა (საერთაშორისო სადიაბეტო ასოციაციის მონაცემებით) არ იცის თავისი დიაგნოზის შესახებ.

**— მაგრამ დიაბეტის სიმპტომებს — წყურვილს, ხშირად შარდვას — შეუძლია შეაშფოთოს ნებისმიერი...**

— ეს სიმპტომები ჩნდება, როდესაც სისხლში გლუკოზების დონე ნორმას ბევრად სჭარბობს. დიაბეტის საწყის სტადიაში სიმპტომები, როგორც წესი, არაა. ამ სტადიაში დაავადება ვლინდება შემთხვევით, როდესაც პაციენტი აბარებს სისხლს შარდის ანალიზზე. ამიტომ 40 წლის შემდეგ ასეთი ანალიზი უნდა ჩავაბაროთ, როგორც მინიმუმი, წელიწადში ერთხელ.

### სად გვეჩქარება?

**— რაში გვჭირდება გავიგოთ ჩვენი ავადმყოფობის შესახებ დროზე ადრე? დიაბეტი ხომ მაინც განუკურნებელია.**

— სისხლში გლუკოზის მაღალი დონე ნეგატიურ გავლენას ახდენს ორგანიზმის ყველა ორგანოსა და სისტემაზე. ცხოვრებას ამ მაჩვენებლით მივყავართ მძიმე დაავადებების — თვალების, თირკმელების, ტერფების დაზიანება, გულის დაავადებები — სწრაფ განვითარებასთან. ადრეულ სტადიაში დაავადების აღმა შემობრუნება რეალურია. გლუკოზის დონე რომ ნორმაში მოვიდეს, საკმარისია დავიკლოთ წონაში და დავიწყოთ მოძრაობა.

**— არის აზრი, რომ ზედმეტი წონა არის სწორედ დიაბეტის დაწყების სიმპტომი...**

— ზედმეტი წონა — დიაბეტის ერთ-ერთი მიზეზია და არა შედეგი. ნებისმიერი ასაკის მსუქან ადამიანს ექიმი უმალვე აგზავნის სისხლში შაქრის დონის შემოწმებაზე. წონის დაკლება შეიძლება ნებისმიერ ასაკში და ნებისმიერი ავადმყოფობის დროს. კალორიებს ადამიანი მხოლოდ საკვებისგან ღებულობს. რომ გახდე, მეტი ენერგია უნდა დახარჯო, ვიდრე შეჭამო. მაშინ ორგანიზმი უკმარის ენერგიას აიღებს ცხიმისგან.

**— მიაჩნიათ, რომ ადამიანები შაქრის დიაბეტით დიდხანს არ ცოცხლობენ...**

— ინსულინის აღმოჩენამდე ახალგაზრდები დიაბეტური კომისგან იღუპებოდნენ ძალიან სწრაფად. 60-70-იან წლებში დიაბეტით დაავადებული ბავშვების მშობლებს აფრთხილებდნენ: ბავშვი 10-15 წელიწადში დაიღუპებაო. დღეს, სტატისტიკის მიხედვით, ადამიანები დიაბეტით, რომლებიც თვალყურს ადევნებენ კვებას და ექიმების მუდმივი კონტროლის ქვეშ იმყოფებიან, გლუკოზის ნორმალური დონის თავის თანატოლებთან შედარებით, სტატისტიკის მიხედვით, 7 წლით მეტხანს ცოცხლობენ.

### მითები დიაბეტის შესახებ

**1. მე-2 ტიპის დიაბეტი არც ისე საშიშია, როგორც 1 ტიპის დიაბეტი**

**1 ტიპის დიაბეტი, რომლის დროსაც ორგანიზმში ინსულინის გამომმუშავებელი უჯრედები იღუპებიან, და ადამიანი წამლებზე დამოკიდებული ხდება, — კარგად მართვადი დაავადებაა. არანაირ შეზღუდვას (დიეტა, ცვლილებები ცხოვრების წესში) დაავადება არ მოითხოვს — საჭიროა მხოლოდ, რომ ავადმყოფს ვასწავლოთ სწორად გაიანგარიშოს და შეიყვანოს ინსულინი. მე-2 ტიპის დიაბეტს თან ახლავს აკრძალვების დიდი ოდენობა. 1 ტიპის დიაბეტის გამოტოვება შეუძლებელია. მე-2 ტიპის დიაბეტიანებმა ათეული წლების განმავლობაში შეიძლება არც იცოდნენ თავიანთი დაავადების შესახებ.**

**2. მე-2 ტიპის დიაბეტი სიბერეში ჩნდება**

**მე-2 ტიპის დიაბეტით დაავადება შეიძლება ნებისმიერ ასაკში. ამერიკის შეერთებულ შტატებში სიმსუქნის ეპიდემიის გამო მე-2 ტიპის დიაბეტით უამრავი ბავშვია დაავადებული.**

**3. პრეპარატებს მხოლოდ გაზრდილი შაქრის დროს ღებულობენ**

**პრეპარატი მუშაობს, სანამ მას ღებულობენ. გაუქმების შემდეგ მისი მოქმედება მთავრდება.**

**4. დიაბეტი — მემკვიდრეობითი დაავადებაა**

**დიაბეტი მართლაც გენეტიკური მიზეზებითაა გამოწვეული. მაგრამ დაავადების განვითარებაზე მოქმედებს წონა და ცხოვრების სტილი. არიან ადამიანები, რომლებიც დიაბეტისადმი მიდრეკილებით იბადებიან, მაგრამ არასოდეს ავადდებიან იმით. მაგრამ ხშირად ადამიანი ავადდება, თუმცა, მისი ნათესავებიდან არასოდეს არავინ ყოფილა ავად ამ დაავადებებით.**

**5. დიაბეტით ავადდებიან ისინი, ვისაც ტკბილეული უყვარს**

**ტკბილის ზედმეტი მიღება პირდაპირ არ არის დიაბეტის მიზეზი. დიახ, ტკბილეული — ეს მაღალკალორიული და ცხიმიანი საკვებია, მაგრამ თუ ნამცხვრისგან მიღებული კალორიები იხარჯება და წონა ნორმაში რჩება, დიაბეტი არ ჩნდება.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## დაიჯესტი

### ჰონორარიც ამას ჰქვია!

**რომან აბრამოვიჩის ადვოკატმა ინგლისის ისტორიაში სარეკორდო ჰონორარი – 7,8 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ანუ დაახლოებით 15 მილიონი დოლარი მიიღო.**

ცოტა ხნის წინათ რუსეთიდან დევნილმა ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ რომან აბრამოვიჩს სასამართლოში უჩივლა იმის გამო, თითქოსდა 2000-იანი წლების დასაწყისში ამ უკანასკნელმა იგი აიძულა მთელი რიგი კომპანიის აქციები ღირებულებაზე დაბალ ფასად მიეყიდა, რის გამო ბერეზოვსკიმ რამდენიმე მილიარდი დოლარი იზარალა. თუმცა, ლონდონის სასამართლომ ბერეზოვსკის არგუმეტები არ გაიზიარა, თანაც მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა იმ გარემოებამ, რომ ახლა ბერეზოვსკის სასამართლო ხარჯის ანაზღაურებაც მოუწია, რის შედეგად, ანალიტიკოსთა გაანგარიშებით, იგი საბოლოოდ გაკოტრდა.

რაც შეეხება აბრამოვიჩის ადვოკატს ლორდ ჯონათან სამფშნს, მისი ჰონორარი ინგლისის უზენაესი სასამართლოს 45 მოსამართლის ხელფასის ტოლია. ბერეზოვსკის ადვოკატს გაცილებით ნაკლები – „სულ“ 3 მილიონი დოლარი ერგო.

### ფსიქოთერაპიის მაგივრად - ცირკი

**მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მედიცინის პრინციპულად ახალმა სფერომ – ჰელოტოლოგიამ – დაიწყო განვითარება, რომლის სახელწოდება ბერძნული სიტყვა „ჰელოტისიდან“, „სიცილიდან“ მოდის.**

ჰელოტოლოგია ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფსიქოსომატურ პროცესებზე იუმორის ზეგავლენას სწავლობს. მედიცინის ამ მიმართულების ფუძემდებელია ლოს-ანჟელესში კალიფორნიის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი ნორმან კაზინსი (1915-1990 წ.წ.) გახდა. მრავალი წლის მანძილზე იგი ემოციების ბიოქიმიას სწავლობდა და, ფაქტობრივად, ნებისმიერ დაავადებაზე სიცილის გამაჯანსაღებელი ზემოქმედების შესახებ დამადასტურებელ მტკიცებულებათა დიდძალი ბაზა შექმნა. დოქტორ კაზინსის გამოკვლევებმა ამერიკულ და ევროპულ ჯანდაცვაში ნამდვილი რევოლუცია მოახდინეს. შედეგად დღესდღეობით ჰელოტოლოგიას სამედიცინო მეცნიერების განუყოფელ ნაწილად განიხილავენ, რომელსაც გერმანიის ყველა პროფილურ უმაღლეს სასწავლებელში ასწავლიან.

ავადმყოფთა გამოჯანმრთელების პროცესის გააქტიურებლად საავადმყოფოებში დაიწყეს კლოუნების, ჟონგლიორების, მომთვინიერებლებისა და ა.შ. მიწვევა. თანაც ცირკის მსახიობები გამოდიან არა მარტო პატარა, არამედ უფროსი ასაკის პაციენტთა წინაშე. საქმე იქამდე მივიდა, რომ გერმანიის სამედიცინო დაზღვევის სისტემამ თავისი მუშაობის წესიც ამას მოარგო. სამედიცინო საღაროები სხვადასხვა სნეულებით შეპყრობილ თავიანთ პაციენტებს ხშირად ცირკის, ასევე ადგილობრივი კომედიანტებისა და იუმორისტების კონცერტების ბილეთებს სთავაზობენ.

მეორე გერმანელმა ჰელოტოლოგმა, პროფესორმა მიხეილ ტიტცემ გამოკვლევა ჩაატარა, რომლის მიზანი თავის ტვინის, სუნთქვისა და გულის სისხლძარღვთა სისტემებზე სიცილის ზემოქმედების შესწავლა იყო. პროფესორ ტიტცეს მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენეს, რომ სიცილის დროს ჰაერი ფილტვებში საათში 100 კილომეტრზე მეტი სიჩქარით გადის, რა დროსაც ორგანიზმს ჩვეულებრივზე ოთხჯერ მეტი ჟანგბადი მიეწოდება. ამდენად, სიცილი – უაღრესად სასარგებლო პროცესია.

– ადამიანის ორგანიზმზე თავისი ზემოქმედების ეფექტიანობით სიცილის ერთი წუთი მოდუნების, დასვენების 45 წუთს ცვლის. ჩვენთვის სიცილი პოზიტიური სტრესია, რომელიც ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, – წერს პროფესორი ტიტცე ერთ-ერთ სტატიაში.

### ყველაზე სასიამოვნო აცრა

**საინტერესო ვარაუდი გამოთქვეს ბრიტანელმა მკვლევარებმა, რომლებმაც იმის გარკვევა სცადეს, თუ რატომაა, რომ ქალები და მამაკაცები ერთმანეთს ვნებიანად კოცნიან და, საერთოდაც, საიდან წამოვიდა ეს სასიამოვნო რიტუალი.**

ლიდსის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის ხელმძღვანელის დოქტორ კოლინ ჰენდრის აზრით, ქალის კოცნისას მამაკაცი მის... ვაქცინაციას ატარებს, რომელიც მას ციტომეგალოვირუსისგან იცავს.

ვირუსი, რომელსაც ნერწყვი შეიცავს, ქალისთვის შეიძლება ძალიან სახიფათო იყოს, განსაკუთრებით კი მომავალი დედისთვის. მას შეუძლია ნაყოფისთვის დიდი ზიანის მოტანა, რასაც, შესაძლოა, ცერებრალური დამბლა და სიკვდილიც კი მოჰყვეს.

– ერთი და იგივე ქალის ხშირი კოცნა – ციტომეგაოლოვირუსის ეფექტიანი აცრაა, – ამტკიცებს პროფესორი ჰენდრი. – ამ თერაპიის ოპტიმალური ვადა ექვსი თვეა.

მეცნიერის თქმით, პირველი, უმეტეს შემთხვევაში ხანმოკლე და ჩვეულებრივ მორიდებული კოცნის დროს, ქალი მამაკაცისგან ვირუსების მცირე დოზას იღებს. მერე და მერე, ვნების მატებასთან ერთად, კოცნა უფრო ხანგრძლივი, ვაქცინაცია კი გაცილებით ინტენსიური ხდება. იმ დროისთვის კი, როცა ურთიერთობა სრულიად ინტიმური ხდება, ქალის იმუნიტეტი იმდენად ძლიერდება, რომ მისი ორგანიზმისთვის ვირუსი საფრთხეს აღარ წარმოადგენს. შესაბამისად, ფეხმძიმობის დროს გართულების წარმოშობის შანსები მკვეთრად მცირდება.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ყურადღება გაზეთებიდან

**„გლდანის ციხის“ ყოფილი თანამშრომელი სოზარ სუბარს პატიმართა წამების მფარველობაში ადანაშაულებს**

**კულუარებში ირწმუნებიან, რომ სოზარ სუბარი თანამდებობას მალე გამოემშვიდობება. საერთოდ, საქმეში ჩახედულები თვლიან, რომ სუბარი სასჯელაღსრულების სისტემას ვერ აკონტროლებს. „გლდანის ციხის“ ყოფილი თანამშრომელი თეა შეყილაძე სუბარს პატიმართა მწამებლების მფარველობაში დებს ბრალს. ამასთან, თეა შეყილაძე „გლდანის ციხის“, როგორც იტყვიან, შიდა სამზარეულოზე საუბრობს და „ქილერას“, ოლეგ ფაცაციასა თუ ბაჩო ახალაიას კლანის სხვა ჯალათებზე სკანდალურ ისტორიებს ჰყვება.**

**„ძართული სიტყვა“**

**დამუშავებული მიწების ოდენობა გაორმაგდა**

**ეს კი უკვე პირველი დადებითი შედეგია. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლისა და სურსათის დეპარტამენტის უფროსის კოტე ხუცაიძის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, გაზაფხულზე 400 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი დამუშავდა, რაც ბოლო წლების რეკორდული მაჩვენებელია (სულ 200 ჰექტარი იხვნებოდა). ექსპერტის სოფლის მეურნეობის საკითხებში პაატა კოლუაშვილის განცხადებით, სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული.**

**„რეზონანსი“**

**ნაციონალები საპრეზიდენტო კანდიდატს ვერ არჩევენ!**

**„ნაციონალური მოძრაობიდან“ პრაიმერში მონაწილე ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი უკვე ცნობილია. არც მეტი და არც ნაკლები, ეს გიორგი ბარამიძეა. რატომ გაუჩნდა სურვილი ბარამიძეს, რომ ვანო მერაბიშვილისა და დავით ბაქრაძის კონკურენტი გახდეს? არაოფიციალურად სწორედ მათი გვარები სახელდება. როგორც ჩვენთან საუბარში დავით დარჩიაშვილმა განაცხადა, საკარაუდოდ, სამ კანდიდატურას შორის გაიმართება პრაიმერი.**

**„ახალი თაობა“**

**საინგილო გუშინ, დღეს... მაგრამ ხვალ?!**

**საქართველოს მოურჩენელ ტკივილად რჩება საინგილოში არსებული ვითარება. მართალია, ორი ქვეყნის პრეზიდენტი, ბაქოჯეიჰანის ნავთობსადენის ხათრით, ერთმანეთს „ძმობას“ ეფიცებიან, მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური ფარსია, რომლის უკან ეროვნული ინტერესების დაცვა არ იკვეთება.**

**ფერშალ შევარდნაძეს ამ საკითხის წამოჭრა მეზობელი ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევად მიაჩნდა, სააკაშვილმა კი ჯერჯერობით ვერ მოიცალა, არადა, საინგილოში მდგომარეობა თანდათან მძიმდება, განუკითხავად ითელება საინგილოს ქართული მოსახლეობის ინტერესები.**

**„ვერსია“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

– **რამდენი წლისა ხართ? – ეკითხებიან მიხოს.**
– **ორმოცის.**
– **პასპორტით რომ ორმოცდაათისა ხართ?**
– **მე ხომ ათი წელი ციხეში ვიჯექი.**
– **მერე რა, იქ არ ცხოვრობდით?**
– **ღმერთმა თქვენ გაცხოვრათ ისე!**

* * *

– **რა ქრთამი, რისი ქრთამი? ეს ღია ბარათი მაჩუქეს! პატარა და მწვანე. ბენჟამენ ფრანკლინის 100 წლისთავი! რას აკეთებთ?! რისთვის მაპატიმრებთ?**
– **როგორ თუ გაპატიმრებთ? კი არ გაპატიმრებთ, არამედ გილიოტინის სამასწლოვან იუბილეზე გეპატიჟებით...**

* * *

– **რით განსხვავდება ამოცანა პრობლემისგან?**
– **ამოცანა არის ის, რომ უნდა მოარტყა მიზანში, პრობლემა კი ისაა, თუ შენ ხარ სამიზნე!**

**ძუჩაზე გადასვლის მთავარი წესი:**
– **ნუ გადაკვეთ ქუჩას იმ შუქზე!**

* * *

**ცოლი მხოლოდ დაქორწინების მეორე წელს ხვდება, რა სულელი იყო, როდესაც გათხოვდა, ქმარი კი – ქორწილის მეორე დღეს.**

* * *

**ცხოვრება მშვენიერია! არა ჩემი, ცხადია, მაგრამ მაინც.**

* * *

**გოგო და ბიჭი რესტორანში სხედან.**
**მსუბუქი სალათი შეუკვეთეს. სხედან. ჭამენ. გოგო შიგადაშიგ მენიუს ათვალიერებს.**
– **რაო, რაიმე ცხელი ხომ არ შევუკვეთოთ? – ეკითხება ბოლოს ბიჭი.**
– **კარგი იქნება! – ეთანხმება გახარებული გოგო.**
– **ოფიციანტო, თუ შეიძლება, ორი ჩაი!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com